პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 299 (11303)

შაბათი, 27 დეკემბერი, 1958 წ.

ფასი 20 კაპ.

ყოველმა ადამიანმა, ცხოვრობს რა კომუნისტურ საზოგადოებაში, თავისი შრომით უნდა შეიტანოს წვლილი ამ საზოგადოების მშენებლობასა და შემდგომ განვითარებაში.

(კანონიდან „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

25 დეკემბერს საღამოს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბოლოო გაერთიანებული სხდომა. თავმჯდომარეობდა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **პ. პ. ლობანოვი.**

დარბაზში არიან ბევრი სტუმარი, დიპლომატიური კორპუსის წევრები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები. მთავრობის ლოჟებში სხედან ამხანაგები **ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. კოროტჩენკო, ი. ე. კალნბერზინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ვ. პ. მჟავანაძე, მ. გ. პერვუხინი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი,** რომლებსაც დარბაზში მყოფნი მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

სესიამ დაიწყო განხილვა საკითხისა ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ სსრ კავშირის კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამ ბრძანებულებათა დამტკიცება, რომლებიც მიღებულია პირველი სესიის შემდეგ განვლილ პერიოდში. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **მ. პ. გიორგაძემ.**

დეპუტატები ერთხმად იღებენ კანონებს ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ სსრ კავშირის კონსტიტუციის მუხლებში და ამტკიცებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს.

შემდეგ თავმჯდომარე სიტყვას აძლევს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს დეპუტატ **ა. ა. გრომიკოს,** რათა საბჭოთა მთავრობის სახელით განცხადება გააკეთოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების შეკითხვებთან დაკავშირებით ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხსა და ბერლინის საკითხზე.

საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს განცხადება

უპასუხა რა პირველ შეკითხვაზე, ა. ა. გრომიკომ თქვა, რომ თათბირზე ჟენევაში ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე დღემდე არსებითი წარმატება მიღწეული არ არის. ეს ხდება იმ პოზიციის გამო, რომელიც დასავლეთის სახელმწიფოების დელეგაციებმა დაიკავეს. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლები, როგორც ჩანს, არ იჩქარიან თათბირის წინაშე დასახული ამოცანის გადაჭრას. პირდაპირ უნდა ითქვას, განაცხადა ამხ. გრომიკომ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებმა, როგორც ჩანს, ამოცანად დაისახეს არ დაუშვან შეთანხმების მიღწევა გამოცდის შეწყვეტის საკითხზე.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობების მტკიცება, რომ თითქოს არ არის შესაძლებლობა ეფექტიანად გაეწიოს კონტროლი ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დაცვას, ეს შეთანხმება რომ დადებული ყოფილიყო, წარმოადგენს ხალხთა პირდაპირ მოტყუებას, თქვა შემდეგ ამხ. გრომიკომ. ექსპერტთა თათბირი ჟენევაში მიმდინარე წლის ზაფხულში მივიდა ერთსულოვან დასკვნამდე, რომ არის სრული შესაძლებლობა დაწესდეს ასეთი კონტროლი.

ყველა მოთხოვნა და პირობა, რომლებსაც დასავლეთის სახელმწიფოები აყენებენ ქვეყნების ტერიტორიების გამოკვლევის შესახებ, ეწინააღმდეგება ექსპერტთა თათბირის დასკვნებს.

დასავლეთის სახელმწიფოთა აბსურდული მოთხოვნა, რომ ატომგულის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულებისადმი კონტროლი დამოკიდებული იყოს ინგლის-ამერიკის უმრავლესობის ნებაზე საკონტროლო ორგანოში, მოწმობს მხოლოდ ამერიკა-ინგლისის ბლოკის წარმომადგენელთა მისწრაფებას მიიღოს სათანადო დაზღვევითი ცნობები.

საბჭოთა მთავრობა, განაცხადა ამხ. გრომიკომ, მზად არის ხელი მოაწეროს შეთანხმებას ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ყოველ დღეს, თუნდაც ხვალ რაიმე შენიშვნისა და წინასწარი პირობის დაუდებლად და იმავე დღიდან ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ინგლისთან ერთად შეწყვიტოს სამუდამოდ ყველა სახეობის ასეთი იარაღის გამოსაცდელი აფეთქება.

შემდეგ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ცდილობენ თავიანთი მოთხოვნა მშვიდობიანი მიზნით ატომგულის აფეთქების წარმოების შესახებ გადააქციონ შეთანხმების დადების ერთ-ერთ დაბრკოლებად. ითვალისწინებს რა ამას, საბჭოთა მთავრობა მზად არის დათანხმდეს მშვიდობიანი მიზნით ატომგულის აფეთქების შეზღუდული რაოდენობის განხორციელებაზე. ამ შემთხვევაში სსრ კავშირი დაემყარება იმას, რომ იმ აფეთქებათა რიცხვი, რომლებსაც, ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი მოახდენენ, და, მეორე მხრივ, სსრ კავშირი მოახდენს, თანაბარი უნდა იყოს. აფეთქებათა საერთო რაოდენობა ყოველ წელს წინდაწინ უნდა იქნას შეთანხმებული და ზუსტად შეზღუდული.

ამხ. გრომიკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები არ იჩენენ მზადყოფნას შეთანხმდნენ აგრეთვე მეორე თათბირზე ჟენევაში — უეცარი თავდასხმის საფრთხის თავიდან აცილების შესახებ. მათ აშკარად სურთ უეცარი დავდასხმის თავიდან აცილების ღონისძიებათა განხილვა შეცვალონ მარტოოდენ ცნობების შეგრავებით სახელმწიფოთა სხვადასხვა სახეობის შეიარაღების შესახებ.

ჩვენ, განაცხადა მინისტრმა, შეგვიძლია დასავლეთის წარმომადგენელთა ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილოთ მხოლოდ ერთი მხრივ: ერთხელ კიდევ განვუცხადოთ მათ, რომ სსრ კავშირს აქვს ისეთი რაოდენობისა და ისეთი ტიპების უახლესი იარაღი, რომლებიც სავსებით საკმარისია ჩვენი ქვეყნის უშიშროების საიმედო დაცვისათვის ყოველგვარი ხელყოფისაგან. ამასთან ერთად სსრ კავშირის მთავრობა ამჯობინებდა მთელი ეს იარაღი — რაკეტები, ატომური და წყალბადის ბომბები და სხვა — დაემტვრია ან მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით მოეხმარა. იგი მზად არის მოახდინოს ეს მაშინვე, როგორც კი დასავლეთის სახელმწიფოები დათანხმდებიან ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას განიარაღების შესაბამის ღონისძიებათა შესახებ.

შემდეგ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა აქტიური ბრძოლა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტისათვის, რასაც ეწევიან ევროპისა და აზიის სოციალისტური ქვეყნების მთავრობანი, აგრეთვე ინდოეთის, ინდონეზიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვა სახელმწიფოთა მთავრობანი.

შემდეგ ამხ. გრომიკომ უპასუხა ბერლინის საკითხზე. იგი ლაპარაკობს საბჭოთა მთავრობის იმ წინადადებებზე, რომ ეს საკითხი გადაიჭრას დასავლეთ ბერლინის დემილიტარიზებულ თავისუფალ ქალაქად გადაქცევის გზით. ეს წინადადებანი მხურვალედ მოიწონეს იმ ქვეყნის ხალხმა და მთავრობამ, რომელსაც ეს საკითხი ყველაზე უფრო ეხება — გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის ტერიტორიაზეც ბერლინი მდებარეობს და რომლის დედაქალაქიც იგია. საბჭოთა მთავრობის წინადადებანი მოიწონეს აგრეთვე და მხარი დაუჭირეს მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების ხალხებმა და მთავრობებმა, რადგან ყველასათვის გასაგებია, რომ ბერლინის საკითხის მნიშვნელობა დიდად შორდება ევროპის კონტინენტის ფარგლებს.

საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ ამ პრობლემის გადაჭრის ყველაზე სწორი გზა არის უშუალოდ დაინტერესებულ სახელმწიფოთა გონივრული მოლაპარაკების გზა. თუ არ მოხერხდა დასავლეთის სახელმწიფოებთან შეთანხმების მიღწევა ბერლინის საკითხის შეთანხმებული გადაწყვეტის შესახებ, სსრ კავშირს აღარაფერი დარჩება, გარდა იმისა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას გადასცეს იმ ფუნქციების განხორციელება, რომლებსაც დღემდე ასრულებდა ბერლინში და იმ კომუნიკაციებზე, რომლებიც ბერლინს აკავშირებენ დასავლეთ გერმანიასთან.

დაახასიათა რა დასავლეთ ბერლინში შექმნილი მდგომარეობა, ამხ. გრომიკომ განაცხადა, რომ თუ ამ მდგომარეობას ბოლო არ მოეღო, უფრო გაძლიერდება იმის საფრთხე, რომ დასავლეთი ბერლინი შეიძლება გახდეს მეორე სარაევო, სადაც 1914 წლის ივნისში გაისმა სროლის ხმა, რომელმაც პირველი მსოფლიო ომის ხანძარი დაანთო.

ყოველგვარ პროვოკაციას დასავლეთ ბერლინში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედების ყოველგვარ ცდას შეუძლია დასაბამი მისცეს დიდ ომს, რომელშიც დაიღუპებოდა მილიონობით და მილიონობით ადამიანი და რომელიც გამოიწვევდა განუზომლად უფრო მძიმე ნგრევასა და ზარალს, ვიდრე წარსული მსოფლიო ომი. ომის ხანძარი უეჭველად გადავიდოდა ამერიკის კონტინენტზე, რადგან თანამედროვე საომარი ტექნიკის პირობებში ფაქტიურად იშლება ზღვარი საომარი მოქმედების შორეულ და ახლო ასპარეზებს შორის. ამისათვის ანგარიშის გაწევა არ შეუძლიათ მხოლოდ გამოტვინებულ ადამიანებს. საბჭოთა მთავრობას, განაგრძო ამხ. გრომიკომ, გულწრფელად სურს იმედი იქონიოს, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელები გამოიჩენენ სახელმწიფოებრივ სიბრძნეს და აგრეთვე მივლენ დასკვნამდე, რომ საბჭოთა წინადადებანი ნამდვილ საფუძველს იძლევიან ბერლინის საკითხის გადასაჭრელად. ეს წინადადებანი არავითარ ზიანს არ აყენებენ დასავლეთის არც ერთ სახელმწიფოს, გერმანელებზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, ისე როგორც არავითარ ცალმხრივ უპირატესობას არ აძლევენ საბჭოთა კავშირს, ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს.

დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელების განცხადებანი, აგრეთვე ბერლინის საკითხზე ნატოს საბჭოს ამ დღეებში გამოქვეყნებული კომუნიკე წარმოადგენენ ფახდს, რადგან ისინი ცდილობენ ბერლინში მდგომარეობის ნორმალიზაციის საკითხი დაუკავშირონ გერმანიის გაერთიანების პრობლემას. კვლავ აყენებენ ძველ, ცხოვრების მიერ დიდი ხანია უკუგდებულ პროგრამას ეგრეთწოდებული „სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების შესახებ“. ამ ფანდს მიმართავენ, რათა თავი აარიდონ ბერლინის მწვავე და საჭირბოროტო საკითხის გადაჭრას.

საბჭოთა მთავრობას, განაცხადა ამხ. გრომიკომ, უკვე მრავალგზის აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ გარედან — გერმანელთა გვერდის ავლით და გერმანელთა ნაცვლად — გერმანიის „გაერთიანების“ უფლება არავის არა აქვს და რომ საბჭოთა კავშირს არ შეუძლია რაიმე დამოკიდებულება იქონიოს ამგვარ გეგმებთან. გერმანიის გაერთიანება შეიძლება იქნას მხოლოდ ორივე სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის — დაახლოებისა და შეთანხმების შედეგი და ვერავითარი მექანიკური ხერხი, როგორიც არის სრულიად გერმანიის არჩევნები ახლანდელ პირობებში ამ საკითხს ვერ გადაჭრის.

* * *

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **მ. ა. ლავრენტიევს** (ნოვოსიბირსკის ოლქი). იგი ამბობს, რომ საბჭოთა მეცნიერები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომელიც თანამიმდევრულად იბრძვის იმისათვის, რომ ატომგულის იარაღის გამოცდა შეწყდეს ყველგან და სამუდამოდ. ეს შეესაბამება მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხთა მისწრაფებას. ეხება რა ბერლინის საკითხს, დეპუტატი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის გონივრულ წინადადებას იმის შესახებ, რომ ბერლინი გადაიქცეს თავისუფალ ქალაქად, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეები მუქარით უპასუხებენ. მაგრამ ნუ ფიქრობენ ისინი, რომ შეძლებენ დაშინონ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები. საღი აზრი მოითხოვს არა იარაღის ჩხარუნს, არამედ ბერლინის საკითხის გონივრულად გადაჭრას, როგორც ეს საჭიროა მშვიდობის ინტერესებისათვის.

ჩვენ, უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, ყველანი, მილიონობით ჩვენი ამომრჩეველნი. ამბობს **ნ. ვ. ბაჟანი** (უკრაინის სსრ). მთლიანად ვიწონებთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომლის მიზანია მშვიდობის შენარჩუნება მთელ მსოფლიოში.

მთელი დედამიწის უბრალო ადამიანები იზიარებენ საბჭოთა მთავრობის აზრს, რომ ექსპერიმენტულ აფეთქებათა დაუყოვნებლივ შეწყვეტა გადამწყვეტი ნაბიჯი იქნება ატომური ომის საფრთხისაგან კაცობრიობის საბოლოოდ ხსნის გზაზე.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ჩვენი მთავრობის წინადადებას ბერლინის საკითხზე. დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებს, რომლებმაც დაარღვიეს პოტსდამის შეთანხმება, არა აქვთ დასავლეთ ბერლინის ოკუპაციის უფლება.

მე მინდა, ამბობს დეპუტატი **მ. მ. პრივალოვი** (კემერეოვოს ოლქი), ამ ტრიბუნიდან გამოვთქვა ჩემი ამომრჩევლების — კუზნეცკის კომბინატის მეტალურგების, ინდუსტრიული კუზბასის მეშახტეების, მშენებლების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის აზრი, რომელნიც გულმოდგინედ ადევნებენ თვალყურს იმ მოვლენებს, რომლებიც ხდება ჩვენს ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ. მათ ღრმად აღელვებს ჩვენი ქვეყნის მომავალი და მთელი კაცობრიობის ბედი. და ისინი კმაყოფილი არიან იმით, რომ საბჭოთა მთავრობა თანამიმდევრულად და მტკიცედ ასრულებს მათ ნებას.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს დეპუტატ **ვ. დ. სოკოლოვსკის.** აგრესიული ნატოს ბლოკის ზოგიერთი ზომაზე მეტად ომის მოტრფიალე გენერალი, ლაპარაკობს რა ბერლინის საკითხზე, მუქარას მიმართავს, არ ერიდება უპასუხისმგებლო განცხადებებს ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენების შესახებ.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას რომ თავს დაესხან, განაცხადა სოკოლოვსკიმ, მას დაიცავენ სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები. თუ დასავლეთის ქვეყნების აგრესიულმა წრეებმა ომი დაიწყეს ბერლინის გამო, მათ დაეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა ისტორიის წინაშე და მსოფლიოს ხალხთა წინაშე.

დეპუტატ **ვ. ე. სემიჩასტნის** წინადადებით, რომელიც გამოვიდა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების სახელით, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე და ბერლინის საკითხზე.

დადგენილებაში მოწონებულია სსრ კავშირის მთავრობის პოლიტიკა და პრაქტიკული ღონისძიებანი ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე და სსრ კავშირის მთავრობას დავალებული აქვს კვლავაც აწარმოონ დაუცხრომელი ბრძოლა იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ, ყველგან და უთუოდ შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდა სამუდამოდ. უმაღლესი საბჭო იმედს გამოთქვამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი თავიანთ მხრივ საჭირო ღონისძიებებს განახორციელებენ ამ დიადი და კეთილშობილური მიზნის მისაღწევად, რომელიც ყველა ხალხის მისწრაფებას შეესაბამება.

უმაღლესი საბჭო აგრეთვე იწონებს სსრ კავშირის მთავრობის პოლიტიკასა და პრაქტიკულ მოქმედებას ბერლინის საკითხში და მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს. დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს თავიანთი წვლილი შეიტანონ იმ საქმეში, რომ ბერლინის საკითხი მოწესრიგდეს ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ინტერესების შესაბამისად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ ამით დაამთავრა მუშაობა. (საკ.).



საქართველოს მშრომელებში დიდი შემოქმედებითი აქტივობა გამოიწვია საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებმა. ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და ხაბჭოთა მეურნეობებში მშრომელები ღრმად ეცნობიან და სწავლობენ სესიის მასალებს და კიდევ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას პარტიის XXI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. სურათზე: ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 1 სადნობი ხაამქროს უფროსობის მოადგილე ნ. მალლაკელიძე საა მჭროს მუშებს აცნობს ხუსიის მასალებს.

ფოტო ს. ონანოვისა (სიქდესის ფოტოქრონიკა).

მიიღე ჩვენი საჩუქრები, დედა სამშობლო!

რკინიგზელთა გამარჯვება

ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია სკკპ XXI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, ვადაზე ადრე შესრულა დატვირთვა-გადმოტვირთვის სახელმწიფო დავალება. 22 დეკემბრისათვის გეგმის გადამეტებით გადაზიდულია 488 ათას ტონამდე ტვირთი. ამასთანავე შემჭიდროებული დატვირთვის გამოყენების შედეგად განთავისუფლებულია 29 ათასზე მეტი ვაგონი.

რკინიგზელებმა კარგად იმუშავეს აგრეთვე ვადმოტვირთვაზე. გეგმის ზევით გადმოტვირთულია 103 ათასამდე ტონა ტვირთი.

მეცხრამეტეებმა შეასრულეს წლიური დავალება

სტალინის სახელობის კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივი მტკიცედ იბრძვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. ყრილობის აღსანიშნავი შეჯიბრების დღეებში კასპელმა მეცემენტეებმა მოიპოვეს დიდი შრომითი გამარჯვება — მათ ვადამდე, 15 დეკემბერს, შეასრულეს ცემენტის გამოშვების წლიური გეგმა. (საქდესი).

წლიური გეგმა განაღდებულია

ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის კოლექტივმა 13 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა მინერალური წყლის ჩამოსხმის წლიური საწარმოო დავალება. წლის ბოლოსათვის წლიური გეგმის გადამეტებით ჩამოასხამენ 3,5 მილიონ ლიტრ მინერალურ წყალს.

დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ა. ნ. შელეპინის დანიშვნის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე შელეპინი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1958 წლის 25 დეკემბერი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ხეხილის ნარგავების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბრძოლა ხეხილის კულტურების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ, რესპუბლიკის ხეხილის ბაღებში ჯერ კიდევ მასობრივად არის გავრცელებული ისეთი საშიში მავნებლები და დაავადებანი, როგორიცაა ნაყოფჭამია, მინაფრთიანა, ტკიპა, კალიფორნიის ფარიანა, ქერქჭამია, ქეცი, კიბო და სხვ. ისინი ზიანს აყენებენ ხეხილის ნარგავებს, ამცირებენ ხილის მოსავლიანობას, აუარესებენ მის ხარისხს. მიმდინარე წელს განსაკუთრებული ზიანი მიაყენა ხეხილის ბაღებს ნაყოფჭამიამ. მაგალითად, გორის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ამ მავნებელმა დააზიანა ვაშლის დაახლოებით 70 პროცენტი, ახალციხის რაიონში — 80 პროცენტამდე, აფხაზეთის ახს რესპუბლიკაში — 36 პროცენტამდე. ამის შედეგად დამზადებულ ხილში დიდი რაოდენობითაა არასტანდარტული ნაყოფი.

მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა მთელი რიგი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაღებში წარმოებს უხარისხოდ და არათანმიმდევრულად. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებში, რომლებიც მთელ რიგ შემთხვევებში გადაიქცნენ ხეხილის ნარგავების მავნებელთა და დაავადებათა გავრცელების კერად (კასპის, გორის, სტალინირის, ახალციხისა და სხვა რაიონები). მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში საკმაოდ არ არის გამოყენებული არსებული ტექნიკა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის მიზანია გაძლიერდეს ხეხილის ნარგავების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი. ამ დადგენილებაში ადგილობრივ საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობათა გამგეობებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავალათ ათი დღის ვადაში შეამოწმონ ხეხილის ნარგავთა მდგომარეობა და უზრუნველყონ ის, რომ დროზე და ხარისხიანად განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა მთელი კომპლექსი.

ხეხილის ნარგავების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით დამტკიცებულია სავალდებულო ღონისძიებანი, რომლებიც წარმოადგენეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს და მოსახლეობას, რომ ხეხილის ბაღებში მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელება დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმეა და რომ მათი შესრულება სავალდებულოა ყველა კოლმეურნეობისათვის, საბჭოთა მეურნეობის, საწარმოს, დაწესებულებისა და ცალკეული მოქალაქეებისათვის.

მსხვილ მეხილეობის კოლმეურნეობებს რჩება მიეცათ შემქმნელ მცენარეთა დაცვის სპეციალიზებული ბრიგადები, რომლებმაც უნდა აწარმოონ ბრძოლა ხეხილის კულტურების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ არა მარტო საკოლმეურნეო ბაღებში, არამედ კოლმეურნეობათა ტერიტორიაზე მდებარე საკარმიდამო ნაკვეთებშიც.

რეკომენდებულია სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში შეიქმნას მცენარეთა დაცვის მუდმივი სპეციალიზებული რაზმები, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — სპეციალიზებული ბრიგადები, რომლებსაც უნდა დაეკისროთ ვალდებულება დროზე და ხარისხიანად განახორციელონ ხეხილის კულტურების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური ღონისძიებანი. ეს რაზმები და ბრიგადები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ საჭირო აპარატურით, სათადარიგო ნაწილებით, შხამქიმიკატებით, ტრანსპორტითა და ინვენტარით.

სარემონტო-ტექნიკური სადგურები თავიანთი რაზმების დახმარებით განახორციელებენ ბრძოლას ხეხილის ნარგავების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ხელშეკრულებების საფუძველზე იმ კოლმეურნეობებთან, კოლმეურნეებთან, მუშებთან და მოსამსახურეებთან, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი ტექნიკა და ხაშუალებანი.

მცენარეთა დაცვის ბრიგადების მოსამზადებელად მოეწყობა ხუთდღიანი ხემინარი, ხოლო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აგრონომებისათვის — ათდღიანი ზონალური გადასამზადებელი კურსები.

გათვალისწინებულია სისტემატურად განხორციელდეს იმ ტყის ნარგავების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი, რომლებიც ხეხილის ბაღების მახლობლად მდებარეობენ. მათი განხორციელება ეკისრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას დაევალა გააფართოოს ნაყოფჭამიასა და მინაფრთიანას წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოო ცდები და უზრუნველყოს უახლოეს ხანში ამ მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის უფრო რადიკალურ ღონისძიებათა შემუშავება. დასახულია გამოშვებულ იქნეს პლაკატები, ინსტრუქციები, ბროშურები ხეხილის ნარგავების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

მიღებულ დადგენილებაში გათვალისწინებულია ღონისძიებანი ზურგის აპარატების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რომლებსაც უშვებს თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელი ქარხანა, აგრეთვე რესპუბლიკის რაიონების მომრაგებისათვის მაღალხარისხოვანი კირი სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

დადგენილებით დასახულია ღონისძიებანი, რომ ყველა მეურნეობამ და სასოფლო-სამეურნეო ორგანომ ზუსტად დაიცვას ხეხილის ნარგავების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის დადგენილი საკარანტინო წესები. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

დეპუტატ ი. ს. დოლიძის სიტყვა

(სტალინირის საქალაქო საარჩევნო ოლქი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა ხალხი თავისი გმირული შრომით აგებს კომუნისტური საზოგადოების ნათელ შენობას. ამ დიადი შემოქმედებითი მუშაობის პროცესში მრავლდება საბჭოთა კავშირის მატერიალური და სულიერი სიმდიდრე, ყალიბდება ახალი ადამიანი — კომუნიზმის შეგნებული და აქტიური მშენებელი.

ჩვენი ქვეყნის განვითარების ახალ, ისტორიულ ეტაპს, რომელიც დასახულია XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში, უნდა შეესაბამებოდეს მოზარდი თაობის განათლებისა და აღზრდის ახალი საუკეთესო სისტემა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს თეზისები ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენს სახალხო განათლების გაშლილ პროგრამას და მოასწავებს თვისებრივად ახალ პერიოდს საბჭოთა სკოლის განვითარებაში. თეზისები სკოლის შესახებ ყოველ საბჭოთა ადამიანს მიაჩნია მოზარდი თაობისათვის პარტიისა და მთავრობის ბრძნული, მამობრივი ზრუნვის მკაფიო გამოვლინებად.

საბჭოთა სკოლამ ჩვენს ქვეყანას მისცა მეცნიერთა, ინჟინერთა, კონსტრუქტორთა, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შესანიშნავი კადრები. საბჭოთა სკოლამ უდიდესი როლი შეასრულა კულტურულ რევოლუციაში, რომელიც საბჭოთა კავშირში განხორციელდა, ხელი შეუწყო ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის კულტურის სწრაფ აყვავებას.

თვალსაჩინო კულტურულ მონაპოვართა მკაფიო მაგალითია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. რევოლუციამდელი საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობდა მხოლოდ 160 ათასი მოსწავლე. ამჟამად რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობს 630 ათასზე მეტი მოსწავლე. გარდა ამისა, 30 ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი წარმოებას მოუწყვეტლივ მეცადინეობს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში, 2.500 ბავშვი იზრდება სკოლა-ინტერნატებში. ტექნიკუმებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლობს დაახლოებით 25 ათასი ახალგაზრდა.

1897 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის 78 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. საბჭოთა ხელისუფლების წლებში წერა-კითხვის უცოდინარობა სავსებით ლიკვიდირებულია.

განსაკუთრებით დიდი წარმატება მიღწეულია უმაღლესი განათლების დარგში. ახლა სახალხო შეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში შრომობს ათასობით სპეციალისტი — რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებული. თუ რევოლუციამდელ საქართველოში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ იყო, ამჟამად არის 19 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც სწავლობს 43 ათასზე მეტი სტუდენტი. მოსახლეობის ათას სულზე უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა რაოდენობით ჩვენმა რესპუბლიკამ უკან მოიტოვა ბევრი კაპიტალისტური ქვეყანა. საქართველოში ყოველ ათას კაცზე მოდის 22 უმაღლესი განათლების მქონე ადამიანი. ეს დაახლოებით სამნახევარჯერ მეტია, ვიდრე საფრანგეთში, ოთხჯერ მეტია, ვიდრე ინგლისში, ცხრაჯერ მეტია, ვიდრე თურქეთში და 50-ჯერ მეტია, ვიდრე ირანში.

ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას ეწევიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და 150-ზე მეტი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და დაწესებულება. ქართველი მეცნიერები წარმატებით ეწევიან მათემატიკის, ფიზიკის, ფიზიოლოგიის, ენათმეცნიერებისა და მეცნიერების სხვა დარგების აქტუალური პრობლემების დამუშავებას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს კულტურულ მშენებლობაში საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალმა აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ, აჭარის ასს რესპუბლიკამ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა.

მაგრამ, დიდი წარმატებების მიუხედავად, სახალხო განათლების ახლანდელი მდგომარეობა არ შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს. საბჭოთა ქვეყანა შედის კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარების პერსპექტივები სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ყველა საბჭოთა მშრომელს. ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება ისეთი სკოლა, რომელიც უფრო სრულად შეესაბამება სოციალისტური საზოგადოების გიგანტურად მზარდ მოთხოვნილებებს, სკოლა, რომელშიც შეიქმნება ყველა საჭირო პირობა ახალგაზრდა თაობის უკეთ აღზრდისა და განათლებისათვის.

როგორც ხაზგასმულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისებში, სკოლის გარდაქმნის ამოცანის სწორად გადაჭრის არის, რომ ახალგაზრდობა მონაწილეობდეს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. ახალგაზრდობისათვის მეცნიერებათა საფუძვლების სწავლება ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული მწარმოებლურ შრომასთან მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

როგორც რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სკოლებში, ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ სკოლებშიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ შეძენილია მწარმოებლურ შრომასთან სწავლების შეერთების ერთგვარი გამოცდილება. ეს, უეჭველია, დაგვეხმარება სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნაში.

1956-57 სასწავლო წელს რესპუბლიკის 20 სკოლაში შეიქმნა საწარმოო სწავლების კლასები. მათთვის დაწესდა სწავლების პროფილები — სახარატო, ელექტროსაბინეკლო, ელექტროსამონტაჟო, სადურგლო-საავეჯო, სატრაქტორო, ჩაის აგროტექნიკისა და ტექნოლოგიის, მეცხოველეობის, მევენახეობის და მეღვინეობისა. ამ სპეციალობათა პროგრამები შედგენილი იყო ისეთი ვარაუდით, რომ ამ კლასების მოსწავლეებმა სკოლაში სწავლის სამი წლის მანძილზე მიიღონ საკმაო ცოდნა და ჩვეულები და სწავლის დამთავრების შემდეგ შეძლონ მუშაობა მათ მიერ არჩეულ სპეციალობაში.

ამ კლასების მუშაობის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეები გატაცებით ეუფლებიან წარმოო სპეციალობას. შრომამ გამაკეთილშობილებელი გავლენა მოახდინა მოსწავლეთა სწავლისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და აკადემიური წარმატების ამაღლებაზე.

რესპუბლიკის განათლების სამინისტროსა და სახალხო მეურნეობის საბჭოს შემოღებული აქვთ პრაქტიკაში მეცხრე კლასების მოსწავლეთა მიმაგრება საწარმოებზე, სადაც ისინი გამოცდილი ოსტატების ხელმძღვანელობით, საამისოდ სპეციალურად განკუთვნილ საათებში სწავლობენ საწარმოო პროფესიებს.

სტავროპოლის მხარის მაგალითისამებრ რესპუბლიკაში შეიქმნა მეშვიდე-მეცხრე კლასების მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები, რომლებიც მუშაობენ მასწავლებელთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ხელმძღვანელობით. შემუშავებულია მოსწავლეთა ბრიგადების დებულებანი, რომლებიც ითვალისწინებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოვალეობებს, თუ რა დახმარება უნდა გაუწიონ ამ ბრიგადებს. რესპუბლიკაში შექმნილია ექვსი ათასზე მეტი ასეთი ბრიგადა და რგოლი. მათ გამოიმუშავეს ერთ მილიონზე მეტი შრომადღე.

ცაგერის რაიონის სოფელ ლასურიაშში უფროსი კლასების 88 მოსწავლემ მოაწყო სკოლა-კოლმეურნეობა. მოსწავლეთა საერთო კრებამ აირჩია გამგეობა, დაკომპლექტეს ორი ბრიგადა და ექვსი რგოლი, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო არტელმა მიუჩინა მიწის ნაკვეთები. სკოლა-კოლმეურნეობის წევრებმა პირნათლად შეასრულეს საწარმოო დავალებანი და მიიღეს ყურძნის, ხილის, სიმინდისა და აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი. ამ გამოცდილებას მიმდევრები გაუჩნდა მცხეთის, ქუთაისის, მახარაძის, თელავის, სტალინირისა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში.

რესპუბლიკის ბევრ სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა ბრიგადები, რომლებიც აწარმოებენ სკოლის შენობისა და ინვენტარის რემონტს.

ამ უკანასკნელ წლებში საქართველოს სკოლებში ფართოდ ვრცელდება თვითმომსახურება. ზოგიერთმა სკოლამ უკვე შემოიღო სრული თვითმომსახურება. ამ სკოლებში სანიმუშო წესრიგია დაცული. იქ იგრძნობა საერთო მაღალი კულტურა და თითქმის არ არის დისციპლინის დარღვევის შემთხვევა.

რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ფართოდ განიხილავენ თეზისებს სკოლის გარდაქმნის შესახებ. საქართველოს მშრომელებს, რომელნიც მხურვალედ იწონებენ თეზისების დებულებას იმის შესახებ, რომ საჭიროა უსწრაფესად განხორციელდეს მწარმოებლურ შრომასთან სწავლების შეერთების მარქსისტულ-ლენინური პრინციპი, საყურადღებო წინადადებანი შემოაქვთ.

საყოველთაო-სახალხო განხილვის მსვლელობაში საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად გამოთქვამენ აზრს, რომ რესპუბლიკის სკოლებში დიდი რუსი ხალხის ენის შესწავლა ისევე სავალდებულო უნდა იყოს. როგორც დედა ენის შესწავლა. მუშებს, კოლმეურნეებს, მთელ ქართველ საზოგადოებრიობას მიაჩნიათ, რომ რუსული ენა მეორე დედა ენაა და მისი შესწავლა რესპუბლიკის სკოლებში სავალდებულო უნდა იყოს.

ის საკითხი, რომ ჩვენს სკოლაში საჭიროა რუსული ენის შესწავლა, მოწონებეა ქართველმა საზოგადოებრიობამ ჯერ კიდევ რევოლუციამდე გადაჭრა. სახელგანთქმული ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, ახასიათებდა რა ქართველი ხალხის მისწრაფებას რუსული ენის შესწავლისადმი, წერდა: „ჩვენს ხალხს სურს იცოდეს რუსული ენა. ეს სურვილი —სიმართლე უნდა ითქვას — იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სახალხო სკოლა, სადაც რუსული ენის სწავლება არ იქნება, ჩვენი ხალხის სრულ სიმპათიას ვერ მოიპოვებს“.

საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს არაერთხელ უთქვამს, თუ რაოდენ საჭიროა ყველასთვის რუსული ენის ცოდნა. რუსული ენა, — ამბობდა იგი. — საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ არა მარტო იმიტომ, რომ იგი სახელმწიფო ენაა, არამედ იმიტომაც, რომ რუსული ლიტერატურა სულიერ საზრდოს აძლევს განვითარებულ ადამიანს. „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — და დიდი ზედმოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დაეჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზედგავლენისაგან... თვითეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია“.

სავსებით ბუნებრივია, რომ ეს მისწრაფება განუზომლად გაიზარდა ჩვენს დროში. რუსულ ენას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია და უნდა ეკავოს მოზარდი თაობის აღზრდაში.

ასევე ერთსულოვნად გამოთქვამენ აზრს, რომ ქართული ენის შესწავლა სავალდებულო იყოს არაქართული სკოლების მოსწავლეებისათვის. ასეთი სისტემა საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო კარგად აღვზარდოთ საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდა თაობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინურ პრინციპებზე. უნდა აღინიშნოს, რომ არაქართულ სკოლებში ქართული ენის შესწავლის დადებით გამოცდილებას მრავალი წლის ისტორია აქვს რესპუბლიკაში.

რესპუბლიკის სკოლებში სავალდებულო უნდა იყოს აგრეთვე საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლა. ეს საგნები ჩვენს სკოლებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ისწავლება. გამოცდილებამ ცხადყო, რომ ქართველი ხალხის, ისევე როგორც სსრ კავშირის სხვა ხალხების, ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების მარქსისტული გაშუქება დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდასა და მისი ზოგადკულტურული ჰორიზონტის გაფართოებაში.

ჩვენს დროში, როცა ფართოდ ვითარდება სსრ კავშირის საერთაშორისო ურთიერთობა, სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხო ენების ცოდნას. საქართველოს პირობებში ყველა შესაძლებლობაა იმისათვის, რომ სკოლაში გაგრძელდეს უცხო ენების სავალდებულო შესწავლა. საჭიროა მხოლოდ სრულყოფა მათი სწავლების მეთოდიკა, რათა მოსწავლე პირველ რიგში დაეუფლოს ცოცხალ სასაუბრო ენას.

თეზისების განხილვის პროცესში დამკვიდრდა მტკიცე აზრი, რომ საჭირო არ არის სპეციალური სკოლები ან კლასები შეიქმნას განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისათვის, რადგან ეს გამართლებული არ არის არც პედაგოგიური და არც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. რასაკვირველია, გამონაკლისი უნდა მოხდეს მუსიკალური, ქორეოგრაფიული სკოლებისა და სახვითი ხელოვნების სკოლებისათვის.

გაცხოველებული დისკუსია გაიმართა პირველი ეტაპის სკოლებში სწავლების ვადის შესახებ. განხილვის მონაწილეთ მიაჩნიათ, რომ საქართველოს რესპუბლიკის სკოლებში პირველ ეტაპზე სწავლების ხანგრძლივობა უნდა გადიდდეს ერთი წლით. აქ მხედველობაშია მიღებული რესპუბლიკის ისტორიის, გეოგრაფიის, დედაენის. მშობლიური ლიტერატურისა და რუსული ენის შესწავლა. რუსითის თვდერაციის სკოლებთან შედარებით ეს ერთ სასწავლო წელზე მეტ დამატებით დროს მოითხოვს.

საშუალო სკოლის გარდაქმნასთან დაკავშირებით სერიოზულად უნდა გავაუმჯობესოთ პედაგოგიური კადრების მომზადება. საჭიროა უმოკლეს ვადაში შევიტანოთ არსებითი ცვლილებანი პედაგოგიური ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში, რათა მომავალმა პედაგოგებმა თეორიულ მომზადებასთან ერთად მიიღონ საწარმოო-პრაქტიკული მომზადება. რაც ისაჭიროებათ მათ სკოლაში მუშაობისათვის. საჭიროა აგრეთვე გადავსინჯოთ პედაგოგიურ სპეციალობათა ნუსხა და, კერძოდ, გავითვალისწინოთ სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა და პოლიტექნიკური ციკლის საგნების სპეციალისტ-მასწავლებელთა მომზადება.

თეზისები ითვალისწინებენ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მომზადებას უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში. ჩვენს რესპუბლიკაში ეს ღონისძიება უკვე ხორციელდება. ორი წელია, რაც შვიდ პედაგოგიურ ინსტიტუტში შექმნილია სპეციალური ფაკულტეტები, რომლებიც ამზადებენ დაწყებითი კლასების მასწავლებლებს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის დადებითი მოვლენაც, რომ მიმდინარე სასწავლო წელს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მოვიდნენ უმთავრესად ადამიანები, რომლებსაც აქვთ არჩეულ სპეციალობაში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. მაგალითად, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პირველ კურსზე მიღებულ სტუდენტთაგან 72 პროცენტს აქვს პრაქტიკული მუშაობის სტაჟი. ხოლო სამედიცინო ინსტიტუტში — 42 პროცენტს.

რესპუბლიკისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხებია უმაღლეს სასწავლებელთა სწორი ტერიტორიული განლაგება, პარალელიზმის აღმოფხვრა კადრების მომზადებაში და დაუსწრებელი და საღამოს სასწავლებლების მუშაობის ძირეული გაუმჯობესება, აგრეთვე მეცნიერული მუშაობის გაუმჯობესება უმაღლეს სასწავლებლებში იმ მიზნით, რომ თემატიკა მიუახლოვდეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის საარსებო საჭიროებებს. ამჟამად მუშავდება ღონისძიებანი იმისათვის, რომ გავამსხვილოთ ერთი ტიპის უმაღლესი სასწავლებლები და აღმოვფხვრათ პარალელიზმი კადრების მომზადებაში, საწარმოო ბაზებს მივუახლოოთ თბილისის სასოფლო-სამეურნეო. ზოოვეტერინარული ინსტიტუტები. ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და რესპუბლიკის რიგი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი.

მომავალ შვიდწლედში შესანიშნავი პერსპექტივები ისახება რესპუბლიკაში კულტურული მშენებლობისა და სახალხო განათლების დარგში. 1965 წელს მოსწავლეთა რიცხვი საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შეადგენს 747 ათას კაცს, მნიშვნელოვნად გადიდდება მუშა ახალგაზრდობისა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში. აგრეთვე დაუსწრებელ საშუალო სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი. 1965 წელს 1958 წელთან შედარებით სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა რიცხვი გადიდდება 18-ჯერ და უფრო მეტად.

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამ სესიის განსახილველად წარმოდგენილი სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაციის პროექტი ყოველნაირი მოწონების ღირსია. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი საბჭოთა სკოლა ახალ პირობებში მოიპოვებს ახალ შესანიშნავ წარმატებებს კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა აღზრდაში. (ტაში).

დეპუტატ ი. ბ. აბაშიძის სიტყვა

(სამტრედიის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ)

ამხანაგო დეპუტატებო! ახალგაზრდობის აღზრდის, საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნის საკითხებს განიხილავს ახლა მთელი ჩვენი ქვეყანა. ეს გასაგებიც არის. როგორ აღვზარდოთ ჩვენი შვილები უნარიანნი, მომზადებულნი ცხოვრებისათვის, მცოდნენი, კულტურულნი, ჰუმანურნი და კეთილშობილნი, ეს სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანია ყოველივე ჩვენგანისათვის, ვინც ამ დარბაზში ზის, ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის, მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისები „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრის ნათელ საერთო მიმართულებას იძლევიან. როგორც ცნობილია, მთავარი აზრი, რომელიც საფუძვლად უდევს თეზისებს, არის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის შეერთება სწავლასთან, შრომით აღზრდასთან. არ შეიძლება მხარი არ დავუჭიროთ ამ აზრს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დროზე დასვეს ეს საკითხი მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე.

რა ადგილი უნდა დაიკავოს ჩვენი განათლების სისტემაში მოზარდი თაობის მორალურმა და ესთეტიკურმა აღზრდამ? როგორ გავითვალისწინოთ სკოლების ზოგიერთი ეროვნული თავისებურებანი მოძმე რესპუბლიკებში? აი ორი საკითხი. რომელზეც მსურს შევჩერო თქვენი ყურადღება, ამხანაგო დეპუტატებო.

თეზისებში ხაზგასმით აღნიშნულია შრომითი აღზრდისა და სწავლების საჭიროება. მაგრამ სწორი არ იქნებოდა თანამედროვე აღზრდის მთელი პრობლემა გაგვეგო მხოლოდ როგორც ჩვენი ახალგაზრდობის ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლება. კომუნისტური საზოგადოება, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ, რომელსაც ესოდენ მივუახლოვდებით შვიდწლედის განმავლობაში, არის ყოველმხრივ განვითარებული, მაღალკულტურული ადამიანების საზოგადოება. ვ. ი. ლენინი თავის მრავალ სტატიასა და გამოსვლაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობის კომუნისტური მსოფლმხედველობის შემუშავებას, გონებრივი არეს გაფართოებასა და სულიერი სამყაროს გაღრმავებას. ამას ვერ მივაღწევთ, თუ არ შევისწავლეთ ჰუმანიტარული მეცნიერებანი. თუ არ უზრუნველვყავით ჰუმანიტარული განათლება. ზოგიერთი ამხანაგი, იმ დისკუსიის მონაწილენი, რომელიც ახლა პრესაში გაიშალა თეზისების გარშემო, აღელვებული ლაპარაკობს სოციალურ-ჰუმანიტარული საგნების სწავლების ბედზე. მათს სიტყვებში ზოგჯერ გამოსჭვივის შიში, სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაცია ხომ არ გამოიწვევს (ყოველ შემთხვევაში პირველ ხანებში) ფართო სოციალურ-ჰუმანიტარული განათლების ერთგვარ შეუფასებლობასო. მე მგონია, რომ ეს შიში საერთოდ ამაოა, რადგან თეზისებში ვერაფერს ვერ დავინახავთ ისეთს, რაც ამ შიშს იწვევდეს. მაგრამ უსარგებლო არ იქნება ეს ყურად ვიღოთ ახლა, როცა პრაქტიკულად ვიწყებთ სკოლის გარდაქმნას.

გვესაჭიროება თუ არა სპეციალური სკოლები ახალგაზრდობისათვის, რომელმაც გამოიჩინა განსაკუთრებული მიდრეკილება ლიტერატურისადმი, ლინგვისტიკისადმი, ისტორიისადმი და სხვ. მე მგონია, რომ არა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი სკოლების საჭიროება მეტად სადავოა. მაგრამ საჭიროა ანგარიში გაეწიოს იმასაც, ჯერ ერთი, რომ ატომის ენერგიის, ტელევიზიის, ავტომატიკის, კიბერნეტიკის, ელექტრონიკისა და სხვ. დარგების სპეციალისტებთან ერთად კომუნისტურ საზოგადოებას ესაჭიროება აგრეთვე ადამიანები, რომლებიც ბეჯითად და სიხარულით ჭაბუკობის წლებიდან იმუშავებენ ეკონომიკის, ისტორიის, ლინგვისტიკის, ლოგიკისა და სხვ. დარგში, წინ წასწევენ საბჭოთა საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებას. ხოლო მეორე, — და ეს მთავარია, — სპეციალისტებისათვის ატომის, კიბერნეტიკის, ავტომატიკის დარგში, ისევე როგორც ყველა საბჭოთა მშრომელისათვის, საჭირო იქნება ლიტერატურა და ლინგვისტიკა, ფერწერა და ისტორია, ფილოსოფია და ეთიკა. დაე თავიანთი ძლიერი „პრაქტიციზმით“, ხოლო უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საქმოსნობით და შინაგანი უკულტურობით იტრაბახონ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა! ჩვენში ეს არ არის და არც იქნება, ჩვენში არიან სხვა ადამიანები, სხვა იდეალებით და ინტერესებით.

მე საჭიროდ მიმაჩნია ვილაპარაკო აქ თეზისების მე-17 პუნქტის განხილვაზე, იმ ამხანაგების გამოსვლებზე, რომლებიც სავსებით უარყოფენ განსაკუთრებული ნიჭის ბავშვებისათვის სპეციალური სკოლების შექმნის საჭიროებას. „მრავალი დაკვირვება და მუშაობის გამოცდილება, — ჩვეულებრივ აღნიშნავენ ასეთი ამხანაგები, — მოწმობენ, რომ იმაზე საზიანო არა არის რა, ბავშვს სიყრმიდანვე ჩააგონო, რომ ის „ტალანტია“, „ნიჭიერია“. ასეთი ბავშვები ამგვარ პირობებში, როგორც წესი, იზრდებიან ყოყოჩებად, მედიდურ, უგულო ეგოისტებად, რომლებიც თავიანთ თავს უპირისპირებენ კოლექტივს“. ამას ერთვის შიში, რომ სპეციალური სკოლების არსებობა გამოიწვევს განსაკუთრებულ დაინტერესებას მშობელთა მხრივ, როგორც ეს, სამწუხაროდ, ზოგჯერ იყო ოქროსა და ვერცხლის მედლების მიღების დროს.

ჩემი აზრით, განსაკუთრებული სკოლების მოთხოვნა არ არის საჭირო. მაგრამ საჭიროა ვიფიქროთ, რომ გარკვეული პირობები შევქმნათ ახალგაზრდა ტალანტების წასახალისებლად, დამატებითი ყურადღებით მოვეკიდოთ ბავშვებს, რომელთაც განსაკუთრებული მიდრეკილება აქვთ ფიზიკა-მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, ქიმიის, აგრეთვე სოციალურ-ჰუმანიტარული მეცნიერებისადმი. განსაკუთრებული წრეების სისტემა, რაღაც დამატებითი გაკვეთილები, თუ კლასები იქნება ეს, ახლა ამის თქმა ძნელია. ყოველ შემთხვევაში ამაზე უნდა ვიფიქროთ და არ უნდა გვეშინოდეს, რომ დამატებითი ყურადღება ნიჭიერი ბავშვებისადმი კოლექტივისაგან მათ მოწყვეტას გამოიწვევს. არ უნდა გვეშინოდეს თუნდაც იმიტომ, რომ ეს დამატებითი ყურადღება გავრცელდება უამრავ ჩვენს ბავშვზე. და საერთოდ ყოყოჩობისა და ეგოიზმის საშიშროება სკოლაში კი არ იქმნება, სადაც ყოველმა ბავშვმა პატარაობითვე იცის თავისი ადგილი ბავშვთა კოლექტივში. ეს საშიშროება სკოლის გარეთ არის. მედიდური, ყოყოჩა, უკადრისა და ეგოისტი ბავშვები იზრდებიან ზედმეტი ინდივიდუალური მზრუნველობის ატმოსფეროში, ისეთ პირობებში, მაგალითად, როცა მშობლებს შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ სკოლას, ხშირად დაიქირაონ მასწავლებლები და ყოველდღე უჩიჩინონ ბავშვს, შენ ვუნდერკინდი ხარო. უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა არ შექმნის თავის პირობებს განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეებზე დამატებითი ზრუნვისათვის, ამას შეიძლება მოჰყვეს „კერძო ინიციატივის“ წახალისება ამ დარგში. კერძო ინიციატივის შეწყვეტა კი დიდი ხანია საჭირო იყო, რათა არ დაზარალებულიყო ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელსაც არა აქვს „განსაკუთრებული პირობები“, და რათა „კერძო“ სწავლების ასპარეზზე არ მოღვაწეობდეს ყოველგვარი მოყვარული უპატიოსნო შემოსავლისა.

მე მგონია, რომ სოციალისტურ სახელმწიფოში, სადაც ტალანტები და ნიჭიერი ადამიანები ემსახურებიან მთელი საზოგადოების ინტერესებს, თვითეული ტალანტის გამოზრდა და განვითარება მთლიანად უნდა მოეწყოს საზოგადოებრივ საწყისებზე.

საბჭოთა ტალანტებს აღტაცებაში მოჰყავთ მთელი ცივილიზებული სამყარო. ეს ტალანტები კი გამოზარდა ჩვენმა სინამდვილემ, ჩვენმა მორალმა, ჩვენმა სკოლამ! პარტიისა და მთავრობის მუდმივმა ზრუნვამ ეს ტალანტები დააყენა ნამდვილი, მაღალი ოსტატობის გზაზე. სწორედ ამან უზრუნველყო მათი შემდგომი აყვავება და განვითარება.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა მორალურ-ესთეტიკურ აღზრდას.

ესთეტიკა მომავლის ეთიკააო, ამბობდა მაქსიმ გორკი. ეს არის მეტად ბრძნული სიტყვები იმ ადამიანისა, რომელიც ესოდენ ბევრს ფიქრობდა ჩვენს მომავალზე, მომავლის მორალურ საფუძვლებზე.

საბჭოთა სკოლა მოწოდებულია ბავშვებს ჩაუნერგოს ხელოვნების ნაწარმოებთა ღრმა განცდის და გაგების უნარი. ამ ამოცანის გადასაწყვეტად, კერძოდ, საჭიროა, რომ ყოველი სკოლა უზრუნველყოფილი იყოს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტით, ფერწერის, ქანდაკებისა და არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშების რეპროდუქციებით, კარგი ბიბლიოთეკებით. საჭიროა მუსიკის, ხატვის და სხვ. კვალიფიციური მასწავლებლები, რომელთა საშტატო თანამდებობები, სამწუხაროდ, დღემდე ყველა სკოლაში როდია.

ამხანაგო დეპუტატებო! თეზისების მე-19 პუნქტში სამართლიანად არის ნათქვამი: „საბჭოთა სკოლაში განხორციელებულია დედა ენაზე სწავლა. ეს ლენინური ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მონაპოვარია“.

ამასთან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ საჭიროა რუსული ენის შესწავლა ქართულ ეროვნულ სკოლებში. ეს მეტად დიდმნიშვნელოვანია. თუ მოძმე რესპუბლიკების სკოლებში სავალდებულო არ გავხადეთ რუსული ენის სწავლება, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრული, ერთამორისი ურთიერთობის მძლავრი საშუალებაა, — ჩვენ არა მარტო წავართმევთ ჩვენს შვილებს იმის შესაძლებლობას, რომ შეიცნონ რუსული და მსოფლიო კულტურის სიმდიდრე, არამედ იმასაც ვერ შევძლებთ, რომ ხელი შევუწყოთ ჩვენი ხალხების მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

არ არსებობს ორი აზრი იმის შესახებ, სავალდებულოა თუ არა რუსული ენის შესწავლა საქართველოს სსრ ყველა სკოლაში.

მაგრამ თეზისების განხილვისას ბევრი ამხანაგი მოძმე რესპუბლიკებიდან, მათ შორის საქართველოდანაც, აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ რესპუბლიკის ყველა სკოლაში სავალდებულო იყოს ადგილობრივი სახელმწიფო ენის შესწავლა.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ცხოვრობენ. ქართული ენის ცოდნა ხელს უწყობს ბევრ მათგანს უკეთ მოაწყოს თავისი შრომითი საქმიანობა, უშუალო ურთიერთობა იქონიოს ქართველ მოსახლეობასთან, რომელშიც ატარებენ ისინი მთელ სიცოცხლეს. ადგილობრივი ენის ცოდნა სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ძმური ერთიანობის მძლავრი მორალური ფაქტორიც არის. მიუხედავად ამისა, ხშირად არის, რომ ბევრი ისეთი პირი, არაქართველი, რომელიც მთელ სიცოცხლეს საქართველოში ატარებს და სამართლიანად მიაჩნია საქართველო თავის სამშობლოდ, აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში, მაგალითს როდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის შესახვედრად

სამხრეთ ოსეთი მომავად შვიდწლედში

სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა მოწინავეა სამხრეთ ოსეთში. მაღალშემოსავლიანია მეცხოველეობის ფერმა, სადაც ბევრი წარჩინებული მწველავი და მწყემსი მუშაობს. მათ შორის არის სახელოვანი მწველავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მარიამ საბანოვა. წელს მან თვითეულ ძროხაზე უკვე მიიღო 2.500 ლიტრი რძე. მარიამი ხალისით უზიარებს თავის გამოცდილებას ახალგაზრ და მწველავებს. მის მიმდევართა შორის წველადობის მაღალ მაჩვენებლებს აღწევს მანია კასაევა.

სურათზე: მარიამ საბანოვა (მარჯვნივ) და მანია კასაევა.

ფოტო ვ. უბოფენკოსი.

★ ★ ★

ნათელი პერსპექტივები

სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე

სამხრეთ ოსეთის მშრომელები მხურვალედ იწონებენ შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებს, რომლებშიც მოცემულია ჩვენი ქვეყნის შემდგომი ძლიერების, ჩვენი ხალხის წინსვლისა და მისი მატერიალური კეთილდღეობის კიდევ უფრო ამაღლების შესანიშნავი პროგრამა. მშრომელები სულ უფრო და უფრო ფართოდ აჩაღებენ პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას, თავდადებით შრომობენ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, კულტურის ფრონტზე აღებულ კონკრეტულ ვალდებულებათა ვადამდე განაღდებისათვის.

დიდი აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის ორგანიზაციის XXVI საოლქო კონფერენციამ. მან მოისმინა და განიხილა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ს. თიბილოვის მოხსენება პარტიის XXI ყრილობაზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებზე.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, სამხრეთ ოსეთის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების 11 თვის დავალება გადაჭარბებით შესრულა. სტალინირის ხე-ტყის კომბინატმა, ქარხანა „ელექტროვიბრომანქანამ“, ლუდის ჩამოსხმელმა ქარხანამ და სხვა საწარმოებმა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა პირველი დეკემბრისათვის შეასრულეს და წლის ბოლომდე დამატებით გამოუშვებენ მილიონობით მანეთის პროდუქციას.

შვიდწლედის ბოლოსათვის სამხრეთ ოსეთის საწარმოების საერთო პროდუქცია თითქმის ოთხჯერ გაიზრდება. ასეთი დიდი ამოცანის გადაწყვეტა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას მოითხოვს.

ლაპარაკობდნენ რა მრეწველობისა და მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე, სტალინირის ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. ვალიევი და ადგილობრივი მეურნეობის საოლქო განყოფილების გამგე ი. ხარებოვი შეეხნენ მშენებლობათა სერიოზულ ნაკლოვანებებს. სამშენებლო ორგანიზაციები ხშირად ვერ ითვისებენ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ თანხებს, სუსტად ინერგება მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები, დიდია მექანიზმებისა და მუშახელის ნაკლებობა.

ქვაისის ტყვია-თუთიის საწარმოს დირექტორმა გ. მედოევმა თავის გამოსვლაში გააკრიტიკა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო. მან აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის საბჭო კონკრეტულად არ ხელმძღვანელობს სამთო სამუშაოებს.

მომავალ შვიდწლედში შემდგომ განვითარდება სოფლის მეურნეობა, რომელიც სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგია სამხრეთ ოსეთში. დელეგატები აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა მომავალში მთავარი ყურადღება მიექცეს მეცხოველეობისა და მებაღეობა-მევენახეობის განვითარებას, პირუტყვის სულადობის ზრდასთან ერთად მკვეთრად გადიდდეს მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

შვიდწლედის ბოლოსათვის თიმქის ორჯერ გადიდდება ძროხების წველადობა, რისთვისაც საჭირო იქნება ჯიშიანი პირუტყვის მომრავლება მეტიზაციის გზით.

— ჩვენი რაიონისათვის, — თქვა პარტიის ზნაურის რაიკომის მდივანმა გ. ძაგოევმა, — გადამწყვეტი უნდა გახდეს მებაღეობა, განსაკუთრებით მევენახეობა. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ რაიონის მთელ რიგ სოფლებში მაღალ მოსავალს იძლევა ვაზის შამპანური ჯიშები.

მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებებზე ილაპარაკეს სტალინირის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მამისაშვილმა და სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ქრისტესიაშვილმა.

პარტიის ჯავის რაიკომის მდივანმა პ. ხარებოვმა აღნიშნა, რომ რაიონის მდიდარი საძოვრები და მდელოები მთლიანად არ არის გამოყენებული. ბუნებრივი პირობები საშუალებას იძლევიან სწრაფად განვითარდეს მეცხვარეობა. მანვე დააყენა საკითხი, რომ მომავალ შვიდწლედში მეტი ყურადღება მიექცეს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გამოშვებას მთის რაიონებისათვის.

სკოლისა და კომკავშირის ამოცანებზე ილაპარაკა კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა უ. ხანიკაევმა. მან მოიყვანა იმის მაგალითები, თუ როგორ აქტიურად მონაწილეობენ ახალგაზრდები საკოლმეურნეო შრომაში. მოსწავლეთა ბრიგადები, — ამბობს იგი, — სკოლასა და ცხოვრებას შორის მტკიცე კავშირის გამოხატულებაა. მომავალში კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ მოსწავლეთა შრომითი მონაწილეობა წარმოებაში.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ხ. დოლიძემ.

კონფერენციამ აირჩია საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის დელეგატები.

კონფერენციამ განხილული საკითხის ირგვლივ მიიღო რეზოლუცია. მასში დასახულია ღონისძიებანი, რომელთა წარმატებით განხორციელებისათვის საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა დარაზმოს მშრომელთა მთელი ძალები.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი.

შვიდწლედის ბოლოსათვის სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობები მოიყვანენ:

★ ★

დავით ჯიოლევი

რა უკვირს არწივს

რა უკვირს არწივს? — ის, რომ ლიახვი
ძველი გზით აღარ მიედინება,
რომ ბედნიერი ხალხის სიმღერა
ცამდე აზიდულ მთებს ეფინება.

რა უკვირს არწივს? — ის, რომ ამ ხევში
ბუნაგი ჰქონდათ ნადირებს წინათ,
დღეს კი დამკვიდრდა ცხოვრება ლაღი,
ლიახვის პირზე სიცოცხლე ბრწყინავს...

რა უკვირს არწივს? — რომ საცხენეთში
წუვდიადმა დამემ დაკარგა ფერი...
იქნება ისიც გაკვირვებია,
რომ სამშობლოზე ვმღერი და ვმღერი.

ნუ გაიკვირვებ, არწივო ჩემო,
როგორ იცვლება ირგვლივ ყოველი.
ჩვენ გუშინდელზე როდი ვჩერდებით,
დღეს მეტს ვაკეთებთ, ხვალ მეტს მოველით!

ოსურიდან თარგმნა **ხ. ყურაშვილმა.**

ახალი ქარხანა, ახალი ელექტრომანქანები

ქარხანა „ელექტროვიბრომანქანა“ წლიურად გამოუშვებს 5 ათას ელექტროვიბრაციულ მანქანას, რომელთა სიმძლავრე 62 ვატიდან 8 კილოვატამდე იქნება.

ელექტროვიბრაციული მანქანების წარმოება სიახლეა სამამულო ტექნიკაში. მათ დამუშავებასა და კონსტრუირებას 1952 წლიდან აწარმოებს ლენინგრადის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. ამ მანქანების ნიმუშები შექმნეს ლენინგრადის კოტლიაკოვის სახელობის და ვორონეჟის სამთო-გამამდიდრებელი მოწყობილობის ქარხნებმა.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ქარხნები ელექტროვიბრომანქანებს ამზადებდნენ უმნიშვნელო რაოდენობით. სტალინირის ქარხანა კი ერთადერთი საწარმო იქნება, რომელიც 1959 წლიდან სერიულად დაიწყებს ელექტროვიბრაციული მანქანების გამოშვებას როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სამთო და მეტალურგიული მრეწველობისათვის.

დიდია ქარხნის წინაშე დასახული ამოცანა, რომელიც ითვალისწინებს ახალი მანქანების ათვისებასა და წარმოებაში მთელ რიგ სიახლეთა დანერგვას. ამ მიზნით 50 კაცის შემადგენლობით უკვე შექმნილია საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ბიურო, რომელიც ელექტროვიბრომანქანების დაპროექტებასთან ერთად იმუშავებს მათი კონსტრუქციის გაუმჯობესებაზე, ახალი ტიპის ელექტრომანქანების შექმნაზე.

ქარხანაში იმუშავებს 1.500-მდე სხვადასხვა პროფესიის მუშა — ხარატი, ზეინკალი, ამწყობი, ელექტროშემდუღებელი, ელექტრიკოსი, დამმონტაჟებელი, მწყდელი, მტვიფრავი...

მეტი ყურადღება მიექცევა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. აშენდება რამდენიმე კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი.

ქარხანაში სამუშაოდ უმთავრესად მოდიან სამუშაოლ ცოდნის ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ ითვისონ თანამედროვე ტექნიკა. მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით იქმნება ტექმინიმუმის შემსწავლელი წრეები. მომავალში გათვალისწინებულია მუშათა საწარმოო მივლინებები ქალაქ ხარკოვში, ოგრეთვე რესპუბლიკის საწარმოებში.

უკვე შევუდექით მიკროქვაბების ამწყობი სამაგრის მშენებლობას, რისთვისაც გათვალისწინებულია 100 ათასი მანეთი.

ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივი ჩაბმულია პარტიის XXI ყრილობის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი წლის ბოლომდე გამოუშვას 10 ცალი ელექტროვიბრომანქანა.

ი. კუდუხოვი,
სტალინირის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“ დირექტორი.

ჩვენი წინადადებანი

საჭიროა სრულყოფილი მექანიზმები

საკვები ბაზის განმტკიცების სამუშაოები ყველა კოლმეურნეობაში დიდ შრომას მოითხოვს. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ შვიდწლედში ჩვენმა საწარმოებმა გამოუშვან ძირხვენების კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანები, კულტივატორები, შეიქმნას კომბლექსური მანქანები, რაც საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ . თიბვის და ნამჯის აღების სრული მექანიზაცია.

იშვიათი როდია ისეთი შემთხვევები, როცა ჩვენი ოლქის ცალკეულ კოლმეურნეობებს საკმაო რაოდენობით არა აქვთ ხორბლის, სიმინდის, კარტოფილისა და ბოსტნეულის მაღალმოსავლიანი თესლი. ეს ძალიან აფერხებს უხვი მოსავლისათვის ბრძოლას. თესლით კოლმეურნეობათა უზრუნველყოფის მიზნით უნდა მოეწყოს მეთესლეობის სპეციალური კოლმეურნეობები და ბრიგადები, რომელთა მუშაობის შედეგად 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მიიღებული სათესლე მასალის მიხედვით.

ივ. ძუბაევი,
ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მოვაწესრიგოთ შრომის ანაზღაურება

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ხელფასის მოწესრიგების საკითხს, რაც უახლოეს წლებში უნდა გადაიჭრას. საჭიროდ მიმაჩნია მომავალ შვიდწლედში ძირეულად მოგვარდეს ხელფასის ნორმირება, რადგან ამ მხრივ დიდი შეუსაბამობაა. ხელფასის შეუსაბამობა განსაკუთრებით იგრძნობა საწარმოებში, სადაც ხშირად მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სხვა მუშაკებთან შედარებით დაბალ ანაზღაურებას იღებს.

სხვადასხვა ჯგუფის მუშაკთა ხელფასს შორის დიდი განსხვავების შემცირების მიზნით საჭიროდ მიმაჩნია დაწესდეს ხელფასის მაქსიმუმი.

ვ. პოკროვსკი,
სახელმწიფო ბანკის სამხრეთ ოსეთის საოლქო კანტორის მმართველი.

იკისრეს—ასრულეგენ

ქვაისელები გაცხოველებით ეცნობიან შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებს, აძლიერებენ ბრძოლას ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. კომუნისტური შეჯიბრების მოწყობის ინიციატორებად გამოვიდნენ გამამდიდრებელი ფაბრიკის ცვლის მუშები, რომლებსაც ტ. ნაიფონოვი ხელმძღვანელობს.

ტ. ნაიფონოვის ცვლამ ერთხმად გადაწყვიტა: XXI ყრილობის გახსნის დღისათვის გეგმის ზევით გამოუშვას 450 ტონა კონცენტრატი, პროდუქციის თვითღირებულება შემციროს 2 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 5 პროცენტით. ერთი წლის განმავლობაში ცვლის ყველა მუშა დაეუფლება ორ-სამ პროფესიას, 4-5 წელიწადში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მიიღებს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ განათლებას.

მხოლოდ ორი კვირა გავიდა ამ ვალდებულებათა აღების შემდეგ. განვლილი დრო გვიჩვენებს, რომ ცვლის კოლექტივი შესანიშნავად მუშაობს. მან გეგმის გადამეტებით უკვე გამოუშვა 170 ტონა კონცენტრატი. ცვლის ყველა მუშა დღიურ დავალებას გადაჭარბებით ანაღდებს.

ა. ჯიკაევი,
ქვაისის მაღაროთსამმართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

დიადი მომავალი

პ. ცაგარეიშვილი,
საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სამხრეთ ოსეთის მშრომელები მხურვალედ იწონებენ და შემოქმედებითად ეანიხილავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებებს. ამ ისტორიულ დოკუმენტებში დასახული გრანდიოზული ამოცანები აღაფრთოვანებენ ჩვენს ადამიანებს. ისინი თეზისებში ხედავენ თავიანთ მშვენიერ მომავალს, დიად გარდაქმნათა დიდებულ პროგრამას.

ყოველწლიურად სულ ახალ და ახალ წარმატებებს აღწევენ სამხრეთ ოსეთის მშრომელები. მიმდინარე სამეურნეო წლის შედეგი თვალსა და გულს ახარებს. ციფრები რომ არ დავასახელოთ, მოკლედ ვიტყვით — ყველა ძირითადი კულტურის მოსავლიანობის გეგმები გადაჭარბებით შესრულდა. წარმატებით მუშაობენ ოლქის სამრეწველო საწარმოები.

ოლქის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მეცხოველეობაა. მთის სოფლები ძველთაგანვე მისდევენ პროდუქტიული პირუტყვის მოშენებას. მეცხოველეობა განსაკუთრებით სწრაფი ტემპით განვითარდა უკანასკნელ წლებში. სამხრეთ ოსეთი სისტემატურად ასრულებს წველადობის დავალებებს და ზრდის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას. მაგრამ უფრო დიდი პერსპექტივები ისახება მომავალ შვიდწლედში.

ათი ათასი სულით გაიზრდება მსხვილფეხა პირუტყვის სულადობა. მათ შორის ძროხისა — 4 ათასი სულით. ამისათვის ჩვენ ყველა პირობა გაგვაჩნია, უმთავრესად ჯავის რაიონში, სადაც დღემდე მთლიანად როდია დატვირთული ნოყიერი ალპური და სუბალპური საძოვრები და მდელოები. ჯავისა და ლენინგორის რაიონებში საგრძნობლად გადიდდება ცხვრის ფარები, მაღალპროდუქტიული ნაზ და ნახევრადნაზმატყლიანი ცხვარი, რომლის მომრავლებაზე უკვე რამდენიმე წელია დაუცხრომლად მუშაობენ ჩვენი მეცხვარეები. 85 ათასიდან, რაც ამჟამად არის მისი სულადობა, 140 ათასს მიაღწევს შვიდწლედის ბოლოსათვის. მსხვილფეხა პირუტყვის მომრავლებასთან ერთად ორჯერ გაიზრდება წველადობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა სერიოზული ყურადღება დაუთმო სახორცე პირუტყვის მომრავლებას და სუქების ორგანიზაციას. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეღორეობას, რის განვითარებასაც ახალი ძალით შეუდგებიან სამხრეთ ოსეთის მშრომელები.

მომავალ შვიდწლედში მარცვლეულის ნათესი ფართობის ზრდის ნაცვლად გათვალისწინებულია მისი მოსავლიანობის ამაღლება. ეს გასაგებიც არის, რადგან ადგილობრივ პირობებთან დაკავშირებით მარცვლეული კულტურები უნდა შეცვალოს მაღალშემოსავლიანმა დარგებმა — მებაღეობამ და მევენახეობამ. რომელსაც, ისევე როგორც ქართლის რაიონებში, დიდი პერსპექტივები აქვს სამხრეთ ოსეთის დაბალი ზონის კოლმეურნეობებში. სამაგიეროდ მარცვლეულის მოსავლიანობა მნიშვნელოვნად ამაღლდება და ამით მიღწეული იქნება მარცვლეულის წარმოების საერთო ზრდა, ძირითადად სიმინდის ხარჯზე, რომელსაც მომავალ შვიდწლედში დიდი ადგილი დაეთმობა პირუტყვის საკვებ ბალანსში.

ბაღების საერთო ფართობი გაიზრდება 30-40 პროცენტით, ვენახებისა — ორნახევარჯერ. ამ მიმართულებით მოსამზადებელი სამუშაოები მოწინავე კოლმეურნეობებმა უკვე დაიწყეს. განზრახულია შვიდწლედის ბოლოსათვის მივიღოთ 17-20 ათასი ცენტნერით მეტი ხილი, ხუთჯერ მეტი ყურძენი. უფრო სრულად რომ დავაკმაყოფილოთ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილება ბოსტნეულზე, ვითვალისწინებთ ამ კულტურების სათესი ფართობის ზრდას და მოსავლიანობის ამაღლებას. ბოსტნეულის წარმოების ზრდა იმითაც არის ნაკარნახევი, რომ სტალინირში აშენდება საკონსერვო ქარხანა, რომელმაც ადგილობრივ ნედლეულზე უნდა იმუშაოს.

ახალი. ნათელი პერსპექტივები ისახება ოლქის მრეწველობის წინაშე. ამჟამად სამხრეთ ოსეთის საწარმოები წარმატებით ასრულებენ დავალებებს. ისინი გულმოდგინედ იბრძვიან იმისათვის, რომ წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მისცენ ქვეყანას რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია.

მომავალ შვიდწლედში ოთხჯერ გადიდდება ოლქის სამრეწველო საწარმოების მიერ გამოშვებული საერთო პროდუქცია. ასეთი თვალსაჩინო ზრდა მიღწეული იქნება მთელი რიგი ახალი ქარხნების საექსპლოატაციოდ გადაცემით და არსებულ საწარმოთა სიმძლავრეების გადიდებით. მალე ოსეთის საწარმოები გამოუშვებენ ახალი სახეობის მრავალ პროდუქციას, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა.

კაპიტალურ დაბანდებათა ხაზით დიდი თანხის — 220 მილიონი მანეთის დახარჯვაა გათვალისწინებული შვიდწლედში საცხოვრებელი და კომუნალური შენობების ასაგებად. ახალი მშენებლობის საწარმოებლად პარტიულ ორგანიზაციებს დიდი მუშაობა დასჭირდებათ ადგილობრივი საშენი მასალების — აგურის, კრამიტის, კირის, საშენი ქვის დამზადების გასაღიდებლად. ამ საკითხს სერიოზული ყურადღება დაეთმობა შვიდწლედის პირველ წლებშიც.

ადამიანებზე ზრუნვა, მათი კეთილდღეობის ამაღლება ოლქის პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ზრუნვის საგანია. სამხრეთ ოსეთი მთიანი ადგილია. ამიტომ მომავალ შვიდწლედში ვითვალისწინებთ სკოლა-ინტერნატების მშენებლობას კარგად მოწყობილი სახელოსნოებით, როგორც ამას სკოლის წინაშე დასახული ახალი ამოცანები მოითხოვს. გაიზრდება საბავშვო ბაღებისა და საბავშვო ბაგების ქსელი. სტალინირსა და ლენინგორში აშენდება ახალი კინოთეატრები. დამთავრდება კულტურის სახლების მშენებლობა ზნაურსა და ჯავაში.

საოლქო ცენტრს სტალინირს დაამშვენებს ახალი დიდი ხიდი მდინარე ლიახვზე, რომელიც ქალაქის ორ დიდ ნაწილს ერთიმეორესთან დააკავშირებს. გათვალისწინებულია წყალსადენის მშენებლობა რაიონულ ცენტრებში, საკოლმეურნეო სოფლების მთლიანი ელექტროფიკაცია, ტელეფონიზაცია და რადიოფიცირება. აშენდება მაღალი ძაბვის ელექტროხაზი ხაშური — ზნაური — სტალინირი — ჯავა, რითაც ოსეთის სოფლები ელექტროენერგიას მიიღებენ „საქენერგოს“ სისტემიდან.

მომავალი შვიდწლედის ბედი წყდება უშუალოდ წარმოებაში — საბჭოთა მეურნეობებში. კოლმეურნეობებში. იქ, სადაც საბჭოთა ადამიანები ქმნიან მატერიალურ დოვლათს. ამიტომ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააუმჯობესონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მასებში, აღზარდონ ადამიანები ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი დიდი ამოცანების აუცილებლად შესრულების სულისკვეთებით. პარტიული ორგანოები მოვალენი არიან ყოველდღიურად. გულდასმით სწავლობდნენ საწარმოებისა და კოლმეურნეობების მუშაობას და ეხმარებოდნენ მათ დიადი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

დიადი მომავალი ისახება ჩვენი ქვეყნის წინაშე. სამხრეთ ოსეთის მშრომელები ქართველი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის დახმარებით, პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით შესრულებენ წარმატებით განახორციელონ შვიდწლედით მათ წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანები და აამაღლონ ხალხის ცხოვრების დონე.

ჩემი მეგობრები

თვრამეტი წელია დღედაღამე ტყეში ვარ. თვრამეტი წელია ფხიზლად ვდარაჯობ ბუნების ამ სიმდიდრეს და სილამაზეს. ხამფალგომის, წოისისა და ხალიდონის თვალუწვდენელი ტყეების ყოველ კუთხეს, ყველა ბილიკს და ხევს ვიცნობ. მცირე ცვლილებაც კი ტყეში შეუმჩნეველი არა მრჩება. თვითეული ხე მეგობრად მიმაჩნია.

მე ტყის გარეშე არსებობა ვერ წარმოგიდგენია. თოვლი და თქეში, მთიდან მომსკდარი ზვავი, წყალდიდობა, მოულოდნელი ხანძარი, ტყის მძარცველებთან შეჯახება და შეკამათება, — ყველაფერი მინახავს, მაგრამ არაფერს არ შევუშინებივარ.

ჩემი ნახელავია ითრაფისისა და მუფთის გზის ნაპირებზე ტანაყრილი ახალგაზრდა ფიჭვნარი. ბევრი შრომა გავწიე კურორტ „ძაუს“ მიდამოების გამწვანებაზე. ბევრჯერ მიმიღია ფულადი ჯილდო და ფასიანი საჩუქრები ტყის სანიმუშოდ დაცვისათვის.

მაგრამ უზომოდ მაწუხებს ზოგიერთთა ავაზაკური დამოკიდებულება ტყისადმი. არიან ადამიანები და არც თუ ისე ცოტა, რომლებიც მტრულად ეკიდებიან ბუნების სიმდიდრეს და ანადგურებენ ტყეს. სამწუხაროდ, ასეთი პირებისადმი იგრძნობა ლმობიერება. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ტყის მძარცველებზე 50-მდე აქტი მაქვს შედგენილი. ამ აქტებს ნახავთ ჯავის რაიონის სახალხო სასამართლოში, მილიციაში, პროკურატურაში. ერთი შეხედვით თითქოს ზომებიც მიიღეს — დაჯარიმეს. მაგრამ ეს ჯარიმები ამოუღებელი რჩება, ტყის მძარცველები კი კვლავ განაგრძობენ ბოროტებას.

ვფიქრობ, მარტო ჯარიმა არ შეელის საქმეს. ტყის მჩეხავები, რომლებიც სისტემატურად ზიანს აყენებენ ბუნების სიმდიდრეს, უფრო მკაცრად უნდა დაისჯონ. ბუნების სიმდიდრის დაცვა საერთო-სახალხო საქმეა. ამიტომ გულით მივესალმები იმ დიდ ღონისძიებებს, რომლებიც ახლა ჩვენს რესპუბლიკაში ხორციელდება ბუნების სიმდიდრის დაცვის მიზნით.

ვ. თედეევი,
მეტყევე, ჯავის რაიონი.

სიუხვისათვის მეგრძოლი

ამ სურათს სტალინირის რაიონის კოლმეურნეობებსა და კულტურის კერებში შეხვდებით. ძარწემელ ახათო გოგიძეს რაიონში იცნობენ როგორც მარცვლეულის მაღალი მოსავლის ოსტატს. იგი ათ წელზე მეტია კოლმეურნეობა „სოციალისტური შრომის“ მეშინდვრეობის ბრიგადას ხელმძღვანელობს.

ომგადახდილ და შრომაში გამოწრთობილ ვაჟკაცს ძალა და ენერგია არ დაუზოგავს, რომ თავისი ბრიგადა დაეწინაურებინა. მარცვლეულის მოსავლიანობის ამაღლებ ამ სოფლის პირობებში პატარა საქმე როდია. საჭირო იყო აგროტექნიკური მოთხოვნათა მტკიცედ გატარება, ბრიგადის წევრთა დაძაბული შრომა.



ა. გოგიძე

* * *

დოლის პური, რომელიც წელთა განმავლობაში ამ სოფლის მინდვრებზე ითესებოდა, ბრიგადირს არ აკმაყოფილებდა თავისი მოსავლიანობით. დახმარებისათვის სტალინირის ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის დირექციას მიმართა. ურჩიეს შემოდგომის ახალი უხვმოსავლიანი ჯიშის „ვარგისის“ თესვა დაეწყო. ბრიგადირი დაეთანხმა. ძარწემელებმა 30 ჰექტარი საგულდაგულოდ მოხნეს „ვარგისისათვის“. ბრიგადირმა თესვის წინ ნაკვეთში უხვად შეიტანა მინერალური სასუქი, ჭეჭილი დააზიგზაგეს, სარეველებისაგან გაწმინდეს. ყანამ ტანი აიყარა, მალე შეყვითლდა და თავთავებმა სიმძიმისაგან თავი დახარეს.

„ვარგისს“ გვალვის გამძლეობასთან ერთად ერთი კარგი თვისებაც აღმოაჩნდა — სიმწიფეში არ წვება. ბრიგადამ მოსავალი უდანაკარგოდ აიღო — ჰექტარზე 25 ცენტნერი გამოვიდა „ვარგისი“.

წარმატება ძარწემელებს შემოხვევითი ეგონათ. ბევრს არ სჯეროდა, რომ „ვარგისის“ მაღალი მოსავალი მყარი იქნებოდა. მაგრამ მომდევნო წლებმა ეს ეჭვი გააქარწყლა. ოთხი წელიწადია ა. გოგიძე შემოდგომის ხორბლის მოსავალს ჰექტარზე 25-30 ცენტნერს იღებს. მოწინავე ბრიგადირის გამოცდილება სწრაფად გავრცელდა სტალინირის რაიონის კოლმეურნეობებში. სახელმწიფო გომოცემამ სპეციალური პლაკატები გამოსცა ა. გოგიძის მიღწევათა პოპულარიზაციისათვის.

ბრიგადირი ყველას უყვარს სოფელში. მას ყოველთვის ირჩევენ საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის ბიუროს წევრად. იგი ახალ ვალდებულებას კისრულობს ჩვენი ქვეყნის შვიდწლიან გეგმასთან დაკავშირებით.

თ. ივანიშვილი.

ერთეული ბიბლიოთეკა

საზღვარგარეთ

ბერლინი უნდა გადაიქცეს დემილიტარიზებულ, თავისუფალ, მშვიდობიან ქალაქად.

უნგრელი ხალხი სოციალიზმის გზაზე

გატისტა გომბავს მშვიდობიან მოსახლეობას

ამერიკული რაკეტა „ატლასის“ მარცხი

გაიხსნა ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის ყრილობა

ლუქსემბურგი, 25 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ლუქსემბურგის მსხვილ სამრეწველო ცენტრში ქალაქ რიუმელანგში გაიხსნა ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის მორიგი XV ყრილობა. ყრილობა განიხილავს ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის დომინიკ. ურბანის მოხსენებას „პარტიის ამოცანების შესახებ თანამედროვე ვითარებაში“, ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის არტურ უზელდინგერის მოხსენებას „კომუნისტური საპარლამენტო ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ“, აგრეთვე საკითხს პარტიული პრესის შესახებ.

ვ. შტოფის ინტერვიუ ადნის სააგენტოს წარმომადგენლისადმი

ბერლინი, 24 დეკემბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ვ. შტოფმა ინტერვიუ მისცა ადნის სააგენტოს წარმომადგენელს. შეაფასა რა ნატოს საბჭოს პარიზის სესიის შედეგები, ვ. შტოფმა აღნიშნა, რომ, როგორც ამ სესიის მსვლელობამ ცხადყო, ამერიკელმა და დასავლეთგერმანელმა იმპერიალისტებმა თითვარი ყურადღება მიაქციეს ნატოს აგრესიული შეიარაღებული ძალების გაძლიერებას, სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ატომური ომისათვის მზადების გაძლიერებას. ამ სესიის ძირითადი საკითხი იყო დასავლეთ ევროპაში ამერიკის საშუალო რადიუსის მოქმედების რაკეტების განლაგების საკითხი.

სესიაზე გაძლიერებული იყო ზეგავლენა იმ სახელმწიფოებზე, რომლებიც დღემდე ილაშქრებდნენ თავიანთი არმიების ატომური შეიარაღების წინააღმდეგ და ხებსა არ იძლეოდნენ თავიანთ ტერიტორიებზე ატომური და რაკეტული იარაღის განლაგებისათვის. ნატოს საბჭოს სეანის გადაწყვეტილებანი ხელს არ უწყობენ ევროპაში დაძაბულობის შენელებას, ხაზგასმით აღნიშნა ვ. შტოფმა. ისინი ამწვავებენ ვითარებას.

ნატოს საბჭოს სესიამ, განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა, კვლავ დაადასტურა, რომ დასავლეთი გერმანია იქცევა ევროპაში ნატოს ძთავარ ატომურ დაყაყრდენ პუნქტად. ეს სავსებით შეესაბამება ადენაუერის რეჟიმის მისწრაფებას დასავლეთი გერმანია გადააქციოს ატომურ სახელმწიფოდ. სამხედრო მინისტრმა შტრაუსმა, აღნიშნა ვ. შტოფმა, დაარწმუნა ნატოს საბჭოს სესია, რომ ბონი უფრო მალე, ვიდრე დღემდე, განახორციელებს ატომური რაკეტების განლაგებას დასავლეთ გერმანიაში.

ატომური ომის მომზადების პოლიტიკა, რასაც დასავლეთ გერმანიის მეთაურები ახორციელებენ და რაც კვლავ ამკარად გამოვლინდა ნატოს საბჭოს დეკემბრის სესიაზე, განაგრძო ვ. შტოფმა, იწვევს დაძაბულობის გაზრდას გერმანიაში. დასავლეთ გერმანიის ატომური შეიარაღება და გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანება შეუთავსებელია. ვინც ისეთ მილიტარისტულ პოლიტიკას ახორციელებს, როგორსაც შტრაუსი და ადენაუერი ახორციელებენ, ის მშვიდობის წინააღმდეგი, დაძაბულობის შენელების წინააღმდეგი და მშვიდობიანი გზით გერმანიის გაერთიანების წინააღმდეგია.

ვ. შტოფმა კატეგორიულად უარყო სამხედრო მინისტრ შტრაუსის ცდები დააშვიდოს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა და საზოგადოებრიობა განცხადებით, რომ საქმე ეხება ბუნდესვერის აღჭურვას „მხოლოდ ტაქტიკური ატომური იარაღით“. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთ გერმანიის ატომური შეიარაღების საფრთხის შემცირების ცდების მიზანია შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოებრიობა განსაკუთრებით სერიოზული საფრთხის, იმ ფართო კონფლიქტის შესახებ, რომელსაც იმპერიალისტი ომის გამჩაღებლები ამზადებენ. შტრაუსისა და მის მსგავსთა სიტყვები, თქვა ვ. შტოფმა, განკუთვნილია იმისათვის, რომ შეაკავოს ადამიანები დასავლეთ გერმანიაში ატომური შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლისაგან.

შემდეგ ვ. შტოფმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეიარაღებამ დასავლეთ გერმანიაში უკვე საშიშ ოდენობას მიაღწია. მან აღნიშნა, რომ ამჟამად დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერშია 200 ათასზე მეტი კაცი. ვერმახტი, რომელსაც მეთაურობენ ყოფილი ჰიტლერელი გენერლები, სს-ელთა ოფიცრები, ხდება უძლიერესი სახმელეთო არმია ნატოს მონაწილე ევროპის ყველა ქვეყნის არმიებს შორის. იგი ამჟამად შედგება თითქმის 50 პროცენტით ოფიცრებისა და უნტერ-ოფიცრებისაგან. ამრიგად, უზრუნველყოფილ უნდა იქნას მილიონნახევარი არმიის სწრაფი ფორმირება, რომელიც შეიარაღებულია მასობრივი მოსპობის თანამედროვე იარაღით. იმ შენაერთებთან ერთად, რომლებიც ნატოს ემორჩილებიან, გერმანელი მილიტარისტები ქმნიან აგრესიულ არმიას სამოქალაქო ომის წარმოებისათვის, ეგრეთწოდებულ „ტერიტორიული თავდაცვის“ არმიას. ისინი აპირებენ ერთისამად გააფიდონ ფედერალური საარბიერო დაცვა 1958 წლის ზაფხულის დონესთან შედარებით.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი, გარდა 12 დივიზიისა, რომელთაც ადგენენ, მოითხოვს უახლოეს წლებში დამატებით შეიქმნას 30 დივიზია. საგულისხმოა აგრეთვე ის, რომ ძლიერდება ფსიქოლოგიური ომი, რომელსაც გებელსის მეთოდებით ეწევიან.

იმისათვის, რომ უზრუნველყოთ მშვიდობიანი განვითარება და მივაღწიოთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ხაზგასმით აღნიშნა ვ. შტოფმა, საჭიროა უახლოეს ნაბიჯად განხორციელებულ იქნას საბჭოთა მთავრობის წინადადებანი — დასავლეთი ბერლინი პროვოკაციების ცენტრის ნაცვლად გადაიქცეს დემილიტარიზებულ, მშვიდობიან, თავისუფალ ქალაქად. მაგრამ ნატოს ქვეყნები ცდილობენ ხელი შეუშალონ ამ წინადადებათა განხორციელებას. ყოველი ხელყოფა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტისა, ყოველი აგრესია შეხდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სახალხო არმიისა და საბჭოთა ჯარების მტკიცე წინააღმდეგობას, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმყოფებიან მშვიდობის საგუშაგოზე.

ახლა, ომის დამთავრების 13 წლის შემდეგ, აღნიშნა დასასრულ ვ. შტოფმა, დასავლეთის სახელმწიფოები, ბოლოს, უნდა დათანხმდნენ მოლაპარაკებას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებაზე.

ფერენც მიუნიხის ინტერვიუ გაზეთ „ნეპსაბადშაგის“ რედაქციისადმი

ბუდაპეშტი, 25 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „ნეპსაბადშაგი“ დღეს აქვეყნებს უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარის ფერენც მიუნიხის პასუხს გაზეთის რედაქციის კითხვებზე.

თხოვნაზე გამოეთქვა აზრი უმნიშვნელოვანეს წარმატებებზე, რომლებიც მიღწეულია 1958 წელს, და ამ წარმატებათა მიზეზებზე, ფერენც მიუნიხმა უპასუხა: 1958 წელს პარტიის ხელმძღვანელობით და მშრომელთა ფართო მასების მხარდაჭერით მნიშვნელოვნად განმტკიცდა უნგრეთის სახალხო-დემოკრატიული წყობილება. ამის დამაჯერებელი დადასტურებაა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრებისა და ადგილობრივი საბჭოების წარსული არჩევნების შედეგები. პარტიისა და მთავრობისადმი მასების ნდობის ატმოსფეროში წარმატებით გადაიტანა ეკონომიური ამოცანები, რომელნიც თავიანთი ოდენობით მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე გასულ წელს. სამრეწველო წარმოების დონე ყოველმხრივ უფრო მაღალია, ვიდრე კონტრრევოლუციურ აჯანყებამდე ან შარშან იყო. მიმდინარე წლის 11 თვის გეგმა სოციალისტურმა მრეწველობამ 3 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა და საშუალოდ 11 პროცენტით მეტი პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე 1957 წელს.

ფერენც მიუნიხმა აღნიშნა აგრეთვე შრომითი სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ფართოდ გაჩაღდა უნგრეთის საწარმოებში.

სოფლის მეურნეობის განვითარებამ, თქვა ფერენც მიუნიხმა, მიმდინარე წელს დაამტკიცა პარტიისა და მთავრობის აგრარული პოლიტიკის სისწორე. სასოფლო-სამეურნეო წარმოებამ, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, მიაღწია დაგეგმილ დონეს. კოოპერაციული მოძრაობის ეკონომიური წარმატების, პოლიტიკური და ორგანიზაციული განმტკიცების შედეგად 1958 წელს შეიქმნა 400 ახალი საწარმოო კოოპერატივი.

ფერენც მიუნიხმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნგრეთს აქვს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის აქტიური ბალანსი, როგორც სოციალისტურ, ისე კაპიტალისტურ ქვეყნებთან.

1958 წელს უნგრეთს ფართო საგარეო ვაჭრობის ურთიერთობა ჰქონდა 31 ქვეყანასთან.

კითხვაზე, რისი მოტანა შეუძლია შემდეგ წელს და როგორ შეიძლებოდა უფრო სწრაფად წავსულიყავით წინ სოციალისტური მშენებლობის გზით, ფერენც მიუნიხმა თქვა:

ჩვენ წარმატების ეკონომიურ პოლიტიკას, რომელმაც გაამართლა თავისი თავი ყოველდღიურ ცხოვრებაში, განვახორციელებთ მომავალ წელსაც და კვლავაც. ჩვენი ძირითადი ამოცანა 1959 წელს არის სოციალიზმის საფუძვლების მატერიალური ბაზის შემდგომი გაფართოება. ამისათვის საჭიროა გაუმჯობესდეს წარმოება და უფრო მჭიდროდ ვითანამშრომლოთ მეგობრულ ქვეყნებთან. ეს შესაძლებელს გახდის უზრუნველვყოთ მოსახლეობის ცხოვრების დონის დასახული შუმმივი ზრდა. უნგრეთის სოფლის მეურნეობას 1959 წელს შეუძლია დიდი ნაბიჯი გადადგას წინ სოციალისტური განვითარების გზაზე.

ჩვენ, თქვა დასასრულ ფერენც მიუნიხმა, ყველა შესაძლებლობა გვაქვს უფრო ჩქარი წინსვლისათვის. საჭიროა ჩვენმა ქვეყანამ და ჩვენმა მშრომელმა ხალხმა მომავალ წელს გამოიყენონ ეს შესაძლებლობანი.

ფულისა და ნივთების ლატარიის ტირაჟი

25 დეკემბერს დამთავრდა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის მოგებათა ტირაჟი. ორი დღის განმავლობაში მაყურებლები ინტერესით აღევნებდნენ თვალყურს გათამაშების მსვლელობას თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში.

... სცენაზე არიან ლატარიის მომწყობი კომისიის წევრები. ოთხ დიდ მინის სატირაჟო ბორბლებთან ადგილებს იკავებენ სკოლამდელი ასაკის ბავშვები — კოჯრის სბავშვო სახლის აღსაზრდელები. ისინი იღებენ ვაზნებს, რომლებშიც არის ბილეთები. ბილეთებზე აღნიშნულია მოგება, სერია და ნომერი. სატირაჟო კომისიის წევრები აცხადებენ მოგებას. „ვოლგის“ მარკის ავტომობილი. მას მიიღებს მფლობელი ბილეთისა № 460 სერია 21277.

ზედიზედ ცხადდება მოგებები: საწოლი გარნიტურები—ბილეთი № 244 სერია 27354, ავტომობილი „მოსკვიჩი“ — ბილეთი № 141 სერია 24177, პიანინო — ბილეთი № 266 სერია 20636, მოტოციკლი „მ-72“ — ბილეთი №299 სერია 26772. გათამაშებულია აგრეთვე ერთბინიანი სამოთახიანი სახლები, საკერავი მანქანები, მაცივრები, ტელევიზორები, რადიოლები, საათები, ავტოკალმები და სხვა ნივთები. ამასთან გათამაშებულია ფულადი მოგება 50 მანეთიდან 10 ათას მანეთამდე.

ტირაჟში სულ გათამაშებულია 130 ათასი ნივთისა და 20 ათასი ფულადი მოგება, სულ 10 მილიონი მანეთისა. ტირაჟის ცხრილი გამოქვეყნდება უახლოეს დღეებში. (საკდესი).

„ტაიფუნი“

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — დრამატურგ ცაო-იუის დრამა „ტაიფუნი“ (თარგმანი პ. წერეთლისა).

სპექტაკლის დადგმა განახორციელეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, რეჟისორმა ვ. ყუშიტაშვილმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა მხატვარმა ი. სუმბათაშვილმა და სტალინური პრემიის ლაურეატმა კომპოზიტორმა ს. ცინცაძემ.

მონაწილეობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. გოძიაშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ს. თაყაიშვილი, აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ზ. ლაფერაძე, მსახიობები ნ. აფაქიძე, ნ. ხეთეერელი, გ. კოსტავა, შ. ქორორაძე და თ. არჩვაძე.

ამჟამად თეატრის კოლექტივი მუშაობს ანა აგლაძის პიესაზე „შავთვალა გოგონა“.

სასაქართველოს დარბაზიდან

გრაკონიერს— პატიმრობა

დილაადრიან გ. გოგოშვილმა საკუთარი „მოსკვიჩ“-ი“ შეათვალიერა, საგულდაგულოდ შეფუთული ფეთქებადი მასალები ჩაალაგა, თავისი ამყოლ-დამყოლები ჩასხა და მტკვარზე სათევზაოდ გაეშურა.

წინასწარ შერჩეულ ადგილზე მივიდა, რომ თავისი ბნელი განზრახვა შეესრულებინა — აფეთქების საშუალებით თევზი მასობრივად დაეხოცა. „მაგრამ ბოოოტმოქმედად დანაშაულზე წასწყდეს, ფეთქებადი მასალა და სხვა დამხმარე მოწყობილობა წაართვეს და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

ბრაკონიერის საქმე ამას წინათ გაარჩია ქალაქ რუსთავის სახალხო სასამართლომ, რომელმაც თევზჭერის წესების უხეშად დარღვევისათვის გიორგი ალექსანდრეს-ძე გოგოშვილს მიუსაჯა 2 წლის პატიმრობა.

გ. გეგუთელი.

ყოველი მხრიდან

◆ **ხართუმი.** 24 დეკემბერს აქ გაიხსნა სსრ კავშირის მუდმივი სამრეწველო გამოფენა. გამოფენის ცერემონიას დაესწრნენ სუდანის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე სალიმ აბუელელა, სსრ კავშირის ელჩი სუდანში ლ. ფ. ტეპლოვი და სუდანის კომერციული და საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლები. გამოფენაზე წარმოდგენილია საბჭოთა ავტომანქანები, მოტოციკლები, ტრაქტორები, დიზელ-მოტორები, ელექტროგენერატორები, ლითონდასამუშავებელი ჩარხები, მედიკამენტები, ფოტოაპარატები და სხვა სამრეწველო საქონელი.

◆ **ნიუ-იორკი.** ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კანავერალის კონცხიდან გადმოგვცემს:

23 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებმა ექვს დღეში გაუშვეს მეორე რაკეტა „ატლასი“ კოსმოსურ სივრცეში, მაგრამ წინათგაშვებულ, თანამგზავრ „ატლასისაგან“ განსხვავებით, ეს რაკეტა რამდენიმე წუთის შემდეგ მიწაზე დაეცა.

◆ **პარიზი.** როგორც ფრანს პრესის სააგენტო რაბათიდან იუწყება, მეფემ მოჰამედ V დაამტკიცა მაროკოს ახალი მთავრობის შემადგენლობა. ამრიგად, გადაწყდა მთავრობის კრიზისი, რომელიც 3 დეკემბერს წარმოიშვა კაბინეტში უთანხმოებასთან დაკავშირებით. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია მულაი აბდალა იბრაჰიმი. ადდალა იბრაჰიმი და მინისტრთა უმრავლესობა ეკუთვნიან პარტია „ისტიკლალს“ (მაროკოს უდიდესი ნაციონალისტური პარტია), დანარჩენი მინისტრები „დამოუკიდებელი“ არიან.

მდგომარეობა კუბაზე

ნიუ-იორკი. (საკდესი). ამერიკის დეპეშათა სააგენტოებისა და პრესის ცნობებით, კუბაზე გრძელდება ბრძოლა აჯანყებულთა და დიქტატორ ბატისტას ჯარებს შორის. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი წერს, რომ ყველაზე გაფფრებული ბრძოლა წარმოებს სამ აღმოსავლეთ პროვინციაში — ორიენტეში, კამაგუეისა და ლას-ვილიასში, სადაც აჯანყებულთა რაზმები აფეთქებენ ხიდებს, ანგრევენ გზატკეცილებსა და რკინიგზებს და ამით აბრკოლებენ ბატისტას სადამსჯელო რაზმების მოქმედებას. მაგალითად, ორიენტეს პროვინციაში მედგარი ბრძოლა წარმოებს ქალაქ სანტიაგოსა და პუერტო-დემოიას ახლოს.

ამავე დროს „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, რომ ბატისტამ „ცხადია დაიწყო ფართო შეტევა“ აჯანყებულთა რაზმების წინააღმდეგ და ამასთან იყენებს ავიაციის დიდ ძალებს. მთავრობის ავიაცია ბომბავს არა მარტო აჯანყებულთა პოზიციებს, არამედ კუბის ბევრ დასახლებულ პუნქტს, რომლებიც საბრძოლო მოქმედების რაიონშია.

ნიუ-იორკი, 26 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები და გაზეთები იუწყებიან, რომ გააფთრებული ბრძოლა წარმოებს კუბაში დიქტატორ ბატისტას ჯარებსა და ფიდელ კასტროს აჯანყებულთა შორის. საომარი მოქმედება გაჩაღდა კუბის ექვსი პროვინციიდან სამში—კამაგუეის, ლას-ვილიასისა და ოგიენტეს პროვინციებში, რომლებიც ამ ქვეყნის ტერიტორიის ნახევარზე მეტს შეადგენენ.

ცნობებიდან ჩანს, რომ მთავრობის ჯარებს მნიშვნელოვანი ზარალი მოსდით.

სასაქართველოს დარბაზიდან

11 : 5 — საქართველოს მოჰიდავეთა სასარგებლოდ

სსრ კავშირის ნაკრები! — სპორტის მოყვარულთათვის ადვილად გასაგებია, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვები. მის რიგებში არიან ძლიერთა შორის უძლიერესნი, უფრო სწორად — ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები, მსოფლიო და ოლიმპიური ასპარეზობათა პრიზიორები, მრავალ საერთაშორისო ასპარეზობაში სახელმოხვეჭილი სპორტსმენები.

მაგრამ საქართველო ხომ ჭიდაობის დიდი ტრადიციის ქვეყანაა. ამიტომ საკუთარი გასაგებია, რატომ იწვევდა ესოდენ დიდ ინტერესს სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც 25 დეკემბერს გაიმართა თბილისის სახელმწიფო ცირკში.

20 საათია. ცირკის შენობა სპორტის მოყვარულებს ვერ იტევენ. საზეიმო მარშის ხმაზე არენაზე მწყობრი ნაბიჯით გამოდიან ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა სახელოვანი კოლექტივები — სსრ კავშირისა და საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრები გუნდები. მოეწყო ასპარეზობის გახსნის ცერემონიალი. ჟღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები. საქართველოს მოჭიდავეებმა სტუმრებს სამახსოვრო ალამი და თაიგული უძღვნეს.

მსაჯები ხალიჩაზე იხმობენ უმჩატესი წონის მოჭიდავეებს — სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წარმომადგენელს ი. კარაგეევსა და სპორტის დამსახურებულ ოსტატს მ. ცალქალამანიძეს. მ. ცალქალამანიძემ ბრძოლა მისთვის ჩვეული მალალი ოსტატობით ჩაატარა და სუფთა გამარჯვება მოიპოვა. პირველ გამარჯვებას და ორ ქულას მაყურებლები ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ.

მორიგ წყვილად გამოვიდნენ სსრ კავშირის 1958 წლის ჩემპიონი ი. ზამიატინი და საქართველოს გუნდის წევრი ვ. არსენიანი. ბრძოლა საინტერესო და მიმზიდველი იყო, მოწინააღმდეგენი არ გაურბოდნენ ერთმანეთს. ქულებით გაიმარჯვა ვ. არსენიანმა.

ნ. მუშელიანი სამართლიანად ითვლება ჩვენი ქვეყნის წამყვან მოჭიდავედ. მაგრამ საქართველოს სპორტსმენმა გ. ჯინჭარაძემ მას სათანადო მეტოქეობა გაუწია და მსაჯთა კოლეგია სავსებით სამართლიანად მოიქცა, რომ ეს შეხვედრა ფრედ ცნო. ასეთივე შედეგით დამთავრდა ა. სალიმულინისა და ა. გეიმრაძის შეხვედრა.

ვ. ბალავაძის სპორტული მიღწევები მსოფლიოშია ცნობილი. იგი აღიარებულია ჭიდაობის უბადლო ოსტატად. მაგრამ სსრ კავშირის, 1958 წლის ჩემპიონატში გ. ნებიერიძის წინააღმდეგ მას წარმატება როდი ხვდა. 25 დეკემბერს ეს მოჭიდავეები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ვ. ბალავაძეს მოწინააღმდეგე, მხედველობაში თუ არ მივიღებთ უკანასკნელ წუთებს, გაურბოდა, რისთვისაც გ. ნებიერიძემ გაფრთხილება მიიღო. ქულებით გაიმარჯვა ვ. ბალავაძემ.

საშუალო წონაში სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონის გ. სხირტლაძის წინააღმდეგ წარმატებით იბრძოდა ნ. აქსიონოვი, მაგრამ ბოლო წუთებში საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრმა თავი ვერ დააღწია დამარცხებას და ორივე ბეჭით ხალიჩაზე მიკრული აღმოჩნდა.

ერთადერთი მოგება ქულებით, რომელიც სსრ კავშირის ნაკრებ გუნდს მოუტანა, ეს ა. ალბული იყო. მან დაამარცხა გ. გობეჯიშვილი. მძიმე წონის მოჭიდავეთა ბ. კოლაევისა და ვ. ბათლიძის შეხვედრა დამთავრდა ფრედ.

ამრიგად, სსრ კავშირისა და საქართველოს სპორტსმენთა ნაკრები გუნდების ასპარეზობა თავისუფალ ჭიდაობაში დამთავრდა საქართველოს მოჭიდავეთა გამარჯვებით ანგარიშით 11:5.

* * *

სურათზე: ქვემოსუბუქი წონის მოჭიდავეთა ნ. მუშელიანისა და გ. ჯინჭარაძის შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო გ. კიკვიძისა და ვ. სტოლიაროვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ჩვენს დედაქალაქში

ლიტერატურული საღამო გამართა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშენაკეთებელი ქარხნის საერთო საცხოვრებელში პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულმა ლიტერატურულმა წრემ. საღამო მიეძღვნა კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნას. მოხსენებით გამოვიდა ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი, პოეტი ვახტანგ გრიგანელი.

მესამე კვარტალში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და კულტურის თუმაკოვ პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭა საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კულტურის ცენტრალურ სახლთან არსებულ კინოთეატრს.

მუზეუმთმცოდნეობის გაუმჯობესებისათვის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან შეიქმნა მუზეუმთმცოდნეობის სამეცნიერო-საკვლევი რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი. მან თავის გარშემო შემოიკრიბა ხელოვნებათმცოდნეები, ისტორიკოსები, რომლებიც რესპუბლიკის მუზეუმებს მეთოდურ დახმარებას უწევენ.

ხელოვნური ნაძვისხეების წარმოების გაფართოების მიზნით ორტელ „5 დეკემბრის“ გამეურნეობამ გადაწყვიტა წყიეთში ააგოს სპეციალური შენობა ნაძვისხის საამქროსთვის, რომელიც წელიწადში 15.000 ცალს დაამზადებს.

დიდუბეში ბაღის ქუჩაზე ამას წინათ საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი კეთილმოწყობილი აბანო. აბანოსთან მოწყობილია მექანიზებული სამრეცხაო.

„ტაიფუნი“

„კომუნისტის“ მუშა-სოფლკორთა კაბინეტი

გაზეთ „კომუნისტის“ მუშა და სოფლის კორესპონდენტთა კაბინეტი 27 დეკემბერს დღის 2 საათზე თბილისის მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის კლუბში აწყობს მუშკორთა და ფაბრიკის კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრთა თათბირს საკითხზე: „მზადება სკკპ XXI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის შესახვედრად და მუშკორთა ამოცანები“.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ყველა იმ ორგანიზაციასა და პირს, რომელთაც მომილოცეს დაბადების 60 წლისა და სამეცნიერო მოღვაწეობის 35 წლისთავი.

პროფ. არნ. ჩიქობავა.

ა. ვებერზინკეს კონცერტზე

ცნობილი გერმანელი ორღანისტი და პიანისტი, ეროვნული პრემიის ლაურეატი, ლაიპციგის კონსერვატორიის პროფესორი ამადეუს ვებერზინკე მეორეჯერ იმყოფება საგასტროლოდ საბჭოთა კავშირში. 1954 წელს ორღანისტის კონცერტებმა წარმატებით ჩაიარა ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში და მათ შორის თბილისშიც. ამას წინათ რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გამართულ კონცერტზე საშუალება მოგვეცა გავცნობოდით ვებერზინკე — პიანისტსაც.

დიდი საშემსრულებლო კულტურისა და ფაქიზი გემოვნების მუსიკოსის დაკვრამ ამჯერადაც უპირველეს ყოვლისა მუსიკალურ ნაწარმოებთა შთანაფიქრის არაჩვეულებრივად ნათლად და დამაჯერებლად გადმოცემით მიიქცია ყურადღება. ინსტრუმენტის ვირტუოზული ფლობა ვებერზინკესთვის მხოლოდ საშუალებაა, რომელსაც იგი მთლიანად ნაწარმოების ემოციური შინაარსის გადმოცემის ამოცანას უმორჩილებს. ამიტომ არის, რომ თვით ურთულესი ტექნიკური პასაჟების დაძლევის დროსაც კი სისადავისა და ბუნებრივობის სრული შეგრძნება ექმნება მსმენელს.

გარეგნულად რამდენადმე შეკავებული და დინჯი მანერის მიუხედავად, არ შეიძლება არ იგრძნოთ ის დიდი შინაგანი სითბო, რომელსაც მუსიკოსი თავის შესრულებაში აქსოვს. ემოციური მგრძნობელობა მას წინა პლანზე კი არა აქვს წამოწეული, არამედ შეთავსებული აქვს ნაწარმოების არსის თვით უფაქიზეს დეტალებამდე გააზრების ჭეშმარიტ უნართან. აქედან არის ფორმის პლასტიკურობის ის დიდი გრძნობა, რომელიც ვებერზინკესთვის ასე დამახასიათებელია. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მისი დიდი მიდრეკილება მელოდიის წამყვანობის პრინციპის განსაკუთრებით ხაზგასმისა და ფაქტურის მელოდიზირებისადმი. ეს თვისება განუყოფლად არის დაკავშირებული პოლიფონიური სტილის ღრმა ცოდნასთან, რომელიც ვებერზინკე-ორღანისტს ახასიათებს. საორღანო შესრულების თავისებური გავლენა იგრძნობოდა ბგერის დიფერენციერების, რეგისტრული და ტემბრული ფერების გააზრების მხრივ და სხვ.

თავისი კონცერტის პროგრამაში პროფესორ ვებერზინკეს შეტანილი ჰქონდა ი. ს. ბახის „ინგლისური სიუიტა“, ლ. ვ. ბეთჰოვენის სონატა № 3, რ. შუმანის „ფანტასტიკური პიესები“ და ხ. პროკოფიევის სონატა № 2.

სკარლატის, ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენის, შუბერტის და შუმანის მთელი რიგი ნაწარმოებები პიანისტმა პროგრამის გარეშეც შეასრულა.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ბახის „ინგლისურმა სიუიტამ“, რომელშიც მან მთელი სიცხადით გამოავლინა როგორც ლირიკული ემოციის შინაგანი ძალა, ისე მუსიკის ყანრული (ვგულისხმობთ ხალხურ სიმღერასა და ცეკვას) საფუძველიც.

ლირიკული განცდის სიღრმეს გაუსვა ხაზი ვებერზინკემ ბეთჰოვენის სონატაშიც.

განწყობილების დიდი უშუალობით იქნა გადმოცემული ლირიკულ-ჭვრეტითი ანდანტე II-ის ნაწილი.

მეტად თავისებურად ეღერდა ვებერზინკეს შესრულებით პროკოფიევის სონატა № 2. მელოდიური მღერადობის პრინციპის და ლირიკული გამომსახველობის ხაზგასმისადმი დიდმა ყურადღებამ საგრძნობლად შეასუსტა რიტმული საწყისის, როგორც განწყობილების დრამატიზირების მძაფრი საშუალების, გამომსახველობითი ძალა.

დიდი სითბო ჩააქსოვა პიანისტმა პროგრამის გარეშე შესრულებულ ნაწარმოებებში: დ. სკარლატის სონატაში, შუბერტის „მუსიკალურ მომენტში“, შუმანის პიესაში „ლორელაი“ და სხვ.

მრავალრიცხოვან მსმენელთ დიდ ხანს დარჩებათ შესანიშნავი მუსიკოსის კონცერტისაგან მიღებული ღრმა შთაბეჭდილება.

მ. იაუვილი.

სურათზე: პროფესორ ა. ვებერზინკეს გამოსვლა რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ჭავჭავაძის პროსპ. № 1)

1959 წ. 9 იანვარს დღის 12 საათზე № 93 აუდიტორიაში ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **სამუელ ანტონის-ძე სვანიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Марксизм-Ленинизм о двух фазах коммунистического общества“.

1959 წ. 9 იანვარს დღის 2 საათზე № 93 აუდიტორიაში ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გერონტი ალექსანდრეს-ძე გასვიანი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკა ოქტომბრის რევოლუციის გატარების პერიოდში“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

1958-59 წ. წ. სეზონი

შაბათს 27, კვირას 28 დეკემბერს დღისით და საღამოს

კ. ბუაჩიძე

პრემიერა

ამბავი სიყვარულისა

სატირული კომედია 3 მოქმედებად

მონაწილეობენ:

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: **მ. ჩახავა** (სტალინური პრემიის ლაურეატი), **ს. ყანჩელი, გ. გეგეჭკორი, ერ. მანჯგალაძე, კ. მახარაძე, ალ. კუპრაშვილი,** მსახიობები: **ეკ. ვაჩნაძე, ბ. კობახიძე, ნ. ანდღულაძე, კ. ხაკანდელიძე, რ. ჩხიკვაძე** და სხვ. დამდგმელი — **მ. თუმანიშვილი** (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), მხატვარი — **ოთ. ლითანიშვილი